გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№84 (840) 23-25 აგვისტო, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

## ინტერვიუ, რომელიც ყველა დაზარალებულმა იპოთეკარმა უნდა წაიკითხოს




გვ. 6

## ბიძინა ივანიშვილმა ლუბა ელიაშვილს დაარტყა



„მე-9 არხს" „ომეგა ჯგუფის" ხელმძღვანელი ყიდულობს?!

გვ. 2



რა შესთავაზა ვანო მერაბიშვილმა ტელეკომპანია „იბერიის" მფლობელის, ზაზა ოქუაშვილის ცოლს, ნატო ჩხეიძეს და რა ინტრიგა დაგეგმა ლუბა ელიაშვილმა



გვ. 7

## წლის ბოლოს პირველადი მოხმარების პროდუქტის გაძვირება გარდაუვალია?!

## რეგიონის სკოლებში რუსული სექტორები იხურება



გვ. 11

## ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე გაყოყოჩდა?!

დაპირისპირება ბოლნისის მუნიციპალიტეტში — თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებული დავით ჩართოლანი სასამართლოში ჩივის

გვ. 10

## ვახტანგ თალაკვაძე: „დიპლომატსა და ყოფილ სამართალდამცავ ჩხიტუნიძეს გირგვლიანის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს"



გვ. 8

## დავით დარჩიაშვილი ეჭვობს, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ უფრო მასშტაბური რეპრესიები დაიწყება

გვ. 5

## პრეზიდენტობის ცნობილ და უცნობ კანდიდატთა პოლიტიკური მარგალიტები

უფლისგან გამოგზავნილნი, საცანასთან მებრძოლნი, ცესკოსგან მოწონებულ-დაწუნებულნი და პირველკაცობის მოსურნე ლიაცები

გვ. 4

## „მეორედ მოსვლა" პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან

გვ. 9

ყოფილი პატიმრები მიშას სწყევლიან, თან ნასამართლეობის მოხსნას სთხოვენ!

## ბიძინა ივანიშვილი: „როგორ არ აქვთ ნაციონალებს სინდისი, როცა ციხეებზე საუბრობენ!“

**„რა უნდა გაშიფრონ ნაციონალებმა?! როგორ არ აქვთ სინდისი, როცა ციხეებზე საუბრობენ!“** — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოქვეყნებულ ციხეებში კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან მართვის სქემას.

მისივე თქმით, ციხეებში, წინა წლებთან შედარებით, ახლა სანატორიუმია. **„ხომ იცით, რა მდგომარეობა იყო ციხეებში და იმასთან შედარებით, ახლა სანატორიუმია, თუმცა პირობების გაუმჯობესება ციხეებში საჭიროა და ვცდილობთ, ახალი მშენებლობები წამოვიწყოთ. შევხვდი სოზარ სუბარს, თათბირი მქონდა მასთან და ვფიქრობთ, გავაუმჯობესოთ პირობები. C ჰეპატიტის მკურნალობა, პრაქტიკულად, გადავწყვიტეთ. საერთოდ, რა ხდებოდა ციხეებში, დღეს რომ ამაზე ხმას ნაციონალები იღებენ, ეს მათ სინდისზე იყოს. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ,“** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## პირველი სექტემბრიდან თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის 150 ან 300-ევროიანი გადასახადი წესდება

პირველი სექტემბრიდან თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის 150 ან 300-ევროიანი გადასახადი წესდება პირველი სექტემბრიდან ტრანზიტულნომრიანი, ფურგონის ტიპის ე.წ. Panel Van-ებისა და მიკროავტობუსების მფლობელები თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის 150 ან 300 ევროს გადაიხდიან. კერძოდ, 150 ევრო იქნება ცარიელი სატრანსპორტო საშუალებისთვის, დატვირთულისთვის — 300 ევრო.

ამ ცვლილების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით, 2004 წლიდან ტრანზიტულ სანომრენიშნიან დახურული ფურგონის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დაწესებულია ტრანზიტის გადასახადი (ცარიელ სატრანსპორტო საშუალებაზე — 600 ევრო, დატვირთულ სატრანსპორტო საშუალებაზე — 1200 ევრო), რომელიც ვრცელდება ყველა ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე და 2013 წლის 1 ივლისამდე გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ საქართველო. 2013 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს მიმართაც ამოქმედდა დროებით შეჩერებული ზემოაღნიშნული სატრანზიტო გადასახადი და ივლისის დასაწყისში თურქეთის საზღვარზე გაჩერებულ იქნა ევროპის მხრიდან საქართველოს მიმართულებით მოძრავი რამდენიმე ათეული ფურგონის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, რომელთა მფლობელებმა ვერ გადაიხადეს დაწესებული თანხა.

**„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩარევისა და თურქეთის მხარესთან ოპერატიული მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება აღნიშნული გადასახადის დროებით შეჩერებისა და მისი გადახედვის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მოლაპარაკებების შედეგად, თურქეთის მხარისგან მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება არსებული სატრანზიტო გადასახადის საქართველოსთვის მნიშვნელოვნად შემცირების თაობაზე და 2013 წლის პირველი სექტემბრიდან ტრანზიტულნომრიანი ფურგონის ტიპის ე.წ. Panel Van-ების და მიკროავტობუსების თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის მათი მფლობელები მოქმედი ტრანზიტის გადასახადის (600 ევრო და 1200 ევრო) ნაცვლად გადაიხდიან გადასახადის ¼-ს, კერძოდ, 150 ევროს ცარიელი სატრანსპორტო საშუალებისთვის და 300 ევროს დატვირთული სატრანსპორტო საშუალებისთვის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიმართავს ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს, შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გაითვალისწინონ მოცემული ინფორმაცია და დამატებითი კითხვებისთვის მიმართონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“,** — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ბიძინა ივანიშვილმა ლუბა ელიაშვილს დაარტყა



„მე-9 არხს“ „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელი ყიდულობს?!



## რა შესთავაზა ვანო მერაბიშვილმა ტელეკომპანია „იბერიის“ მფლობელის, ზაზა ოქუაშვილის ცოლს, ნატო ჩხეიძეს და რა ინტრიგა დაგეგმა ლუბა ელიაშვილმა

ნათია აბაშიძე

**დახურული „მე-9 არხის“ გარშემო ახალი სკანდალი გორდება. ისე, ამ სკანდალს „ახალი“ პირობითად ჰქვია, თორემ მაშინვე, როგორც კი პრემიერმა ტელევიზიის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო, სოციალურ ქსელებში გაჩნდა მოსაზრება, რომ მალე თამაშში თითქმის დავიწყებასმიცემული ტელეკომპანია „იბერია“ ჩაერთვებოდა. ეს მოსაზრება იმანაც გაამყარა, რომ „მე-9 არხის“ ხელმძღვანელი ლუბა ელიაშვილი თავის დროზე „იბერიას“ ხელმძღვანელობდა და, ამასთან, „იბერიის“ მფლობელი ცოლ-ქმრის მეგობარიც იყო. ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მე-9 არხის“ ინტრიგა შესაძლოა, ლუბა ელიაშვილმა დაგეგმა...**

ნიშანდობლივია, რომ „მე-9 არხის“ შესაძლო მყიდველთან დაკავშირებით, ინფორმაციას სწორედ ელიაშვილი ავრცელებს და აცხადებს, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ შეძენის სურვილი აქვს და ამ მიზნით, არხის მფლობელთან მოლაპარაკებებს იწყებსო.

**„ოქუაშვილს უბრუნდება კუთვნილი, უკანონოდ წართმეული ლიცენზია, მას, პირველ რიგში, თანამშრომლები სჭირდება და შემდეგ — აპარატურა. მოგეხსენებათ, ბიზნესმენია და ფული აქვს. „მე-9 არხს“ შეიძენს ისეთს, როგორიც არის“,** — აცხადებს ელიაშვილი.

ვინ არის ზაზა ოქუაშვილი? — ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ოქუაშვილი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, „აღორძინების“ სიით გამოჩნდა, თუმცა მანამდე, მეუღლესთან, ნატო ჩხეიძესთან ერთად, „ტრადიციონალისტებთან“ მეგობრობდა. მართალია, დეპუტატი გახდა, მაგრამ ცოლ-ქმარი მაინცდამაინც დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ნატო ჩხეიძის სახელი საზოგადოებამ მაშინ გაიგო, როცა 8 მარტის გაუქმება-არგაუქმებასთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძეს ლამის დუელი გაუმართა.

„ომეგა ჯგუფი“ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მეორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოექცა — პრინციპში, პირველი ბიზნესი, რომელზეც ნაცებმა იერიში მიიტანეს სწორედ „ომეგა ჯგუფი“ და ტელეკომპანია „იბერია“ იყო, თუმცა ამ სკანდალს წინ ე.წ. შავი პიარი უძღვოდა — მედიაში ზაზა ოქუაშვილის წინააღმდეგ მასალები ქვეყნდებოდა და ამ მასალების უმეტესობა ოჯახური ხასიათის იყო.

მოგვიანებით, ანუ ტელეკომპანია „იბერიაში“ სპეცრაზმის შესვლის შემდეგ, კულუარებში ითქვა, რომ ცოლ-ქმარმა, უფრო სწორად, ცოლმა ნაციონალებთან ურთიერთობა დაარეგულირა — ნატო ჩხეიძე საქართველოში ბიზნესს განაგრძობდა, ზაზა ოქუაშვილი კი, ასე ვთქვათ, ემიგრაციაში იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ ოქუაშვილის კუთვნილი სტამბა „ომეგა“ უწინდებურად მუშაობდა...

საინტერესო დეტალი: თავის დროზე, ესე იგი მაშინ, როცა „იბერიაში“ სპეცრაზმი შევიდა, ნატო ჩხეიძემ საჯაროდ იმ მიზეზებზე ისაუბრა, თუ რატომ აითვალწუნეს მიშას პოლიტიკურმა და-ძმებმა. თურმე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკაშვილი პარლამენტში „ნაციონალურ ფრაქციას“ ქმნიდა, ამჟამად პატიმარი ვანო მერაბიშვილი ნატო ჩხეიძესთან მისულა და შეუთავაზებია, შენ და შენი ქმარი თუკი ჩვენთან წამოხვალთ, 50-60 მილიონს მოგცემთ, თქვენს ბიზნესსაც ხელს არ ვახლებთ და მიშა პრეზიდენტი რომ გახდება, მეფე-დედოფალივით იცხოვრებთო, მაგრამ ქალბატონ ჩხეიძეს მერაბიშვილისთვის უარი უთქვამს... ისე, მერაბიშვილი, როგორც მომლაპარაკებელი, ქართულ პოლიტიკაში პირველად სწორედ მაშინ გამოჩნდა...

გამოხდა ხანი და... დავიწყებული ზაზა ოქუაშვილი არენაზე კვლავ გამოჩნდა. რასაკვირველია, ამის მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ სავსებით დასაშვებია, რომ მას შემდეგ, რაც პრემიერმა „მე-9 არხის“ დახურვის გადაწყვეტილება მიიღო, ლუბა ელიაშვილმა არხის ყიდვა ოქუაშვილს შესთავაზა ანუ მაშინ, როცა ითქვა, რომ ტელევიზიის ყიდვის სურვილი ინვესტორებმა არ გამოთქვეს, მყიდველი, ოქუაშვილის სახით, უკვე არსებობდა, მაგრამ ამის შესახებ ელიაშვილს წინდაწინვე რომ ეთქვა, ცხადია, დიდი აჟიოტაჟი ატყდებოდა. შესაბამისად, ლუბა ელიაშვილმა, ამ ვერსიას თუ გავყვებით, შორი გზის მოვლა და შინ მშვიდობით მისვლა არჩია.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: კულუარებიდან გამოჟონილი ცნობით, ლუბა ელიაშვილს, როგორც „მე-9 არხის“ გენდირექტორს, პრემიერის მთავარმა „პიარშიკმა“ კოკა ყანდიაშვილმა, თურმე, სისხლი გაუშრო — არხის პოლიტიკაში „უპრაგონოდ“ ერეოდა. ჰოდა, თუკი „მე-9 არხის“ მფლობელი მართლაც ზაზა ოქუაშვილი გახდება, კოკა ლუბას უბატონოდ ხმას ვეღარ გასცემს და, მეტიც, ელიაშვილმა ყანდიაშვილზე, წარსული „დიქტატურის“ გამო, შესაძლოა, შურიც იძიოს...

ასე და ამგვარად: ქართულ ტელემედიაში დაწყებული ინტრიგა, ასე თუ ისე, გაშიფრულია — „მე-9 არხის“ მფლობელი, დიდი ალბათობით, ის ბიზნესმენი გახდება, რომელიც თავის დროზე, პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი არ იყო — ასლან აბაშიძის „აღორძინების“ წევრი გახლდათ. ამ ნიუანსს, ერთი შეხედვით, შეიძლება მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ფაქტია: ქართული პოლიტიკა სწორედ ნიუანსებით „კეთდება“...

სხვათა შორის, ვიდრე მედიაბრძოლაში ოქუაშვილი ჩაებმებოდა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ მოძრაობა დაიწყეს, რომლის მიზანიც სააქციო საზოგადოების შექმნა და „მე-9 არხის“ ყიდვაა. ამ იდეას ია ანთაძე, ვასილ მაღლაფერიძე და სხვა მედიაექსპერტები ლობირებენ...

აქვე, შეგახსენებთ: ტელეკომპანია „მე-9 არხის“ შესაბამისობის დეკლარაციის თანახმად, არხის დირექტორი ლუბა ელიაშვილია, კომპანიის 100 პროცენტს შპს „აქცეპტი“ ფლობს. ამასთან, შპს „აქცეპტის“ 80% ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაა, 20% კი — კახა კობიაშვილის.

მოგვიანებით, პრემიერმა „მე-9 არხთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა და აღნიშნა: **„მე-9 არხზე“ ჟურნალისტები BBC-დან“ და CNN-დან არ გადმოსულან, ბევრი მათგანი არაპროფესიონალი იყო, იყვნენ უმუშევრები, ბევრი რამ ჩვენთან ისწავლეს და ამაში აიღეს ხელფასი, რაც მისასალმებელია... ახლა მამადლიან — გამოგვიყენაო და ცუდ განცხადებებს აკეთებენ... ძალიან ცუდად მოიქცნენ ჟურნალისტები და ტელევიზიის ხელმძღვანელობა. საინფორმაციო გამოშვების შემდგომ დახურეს ტელევიზია. ამ დროს, თვითონვე ჰქონდათ განცდა, რომ ბევრია მყიდველი და მსურველი, რომელიც ვერ ვნახე ისეთი დახურული ქმედებით, რომ არ გამომეწვია აჟიოტაჟი ტელევიზიის ირგვლივ. ვახერხებდი ყველა პოტენციურ მყიდველთან საუბარს, ქალბატონ ლუბას კი ავუხსენი მდგომარეობა და ვუთხარი, რომ ტელევიზიის დახურვა მერე გვიან იქნებოდა. ჩემთვის უცნაური იყო ჟურნალისტებისა და ხელმძღვანელობის რეაქცია — არადა, ამ დროში შეიძლებოდა სერიოზული მყიდველი ყოფილიყო და თუ ასეთი გამოჩნდება, მოხარული ვიქნები... საერთოდ არ ვაპირებდი ტელევიზიის გახსნას — მინდოდა მეთხოვა, ამეშენებინა, ჩამედო ინვესტიცია და უფასოდ დამებრუნებინა. მქონდა სურვილი, რომ ჟურნალისტები უმუშევრები არ ყოფილიყვნენ და აპარატურაც გადამეცა არხებისთვის. ამის შემდგომ ვცდილობდი, არ დაზარალებულიყვნენ ჟურნალისტები და ტელევიზია, თუმცა ეს ვერ მოვახერხე. დაახლოებით 1 მილიონი დოლარი ჯდებოდა ტელევიზიის შენახვა თვეში და ამას მხოლოდ იმისთვის ვაკეთებდი, რომ ჟურნალისტები არ დაზარალებულიყვნენ. მახსოვს, რამდენიმე რამ მთხოვა ქალბატონმა ლუბამ, როდესაც ჩემი განცხადება გავუგზავნე: არ გამეხმაურებინა, რომ „ინფო 9“ იყო დროებითი პროექტი და ეს მათ იცოდნენ და მეორედ მთხოვა არ მეთქვა, რომ ამას ჟურნალისტებისთვის ვაკეთებდი. ვკითხე, რატომ უნდა ამომელო... უნდათ, რომ გაბრაზებულები და განაწყენებულები იყვნენ მაშინ, როდესაც თანმიმდევრულად მოვიქეცი, ასეთი დამოკიდებულება შოკისმომგვრელი იყო ჩვენთვის“.**

# ირაკლი კაკაბაძე „ფუნის რევოლუციით“ იმუქრება

რუსუდან შელია
557-100-768

## „ოლიგოქარტიის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალ მოძრაობას ქმნის



**„ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას გარიგებაში ამხელს. ამბობს, რომ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში მიხეილ მაჭავარიანის ძმის, ვანო მაჭავარიანის ჩართვა სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგის წინასწარ განსაზღვრაზე მიანიშნებს. არ სჯერა, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ კოჰაბიტაციის პროცესი დასრულდება, ამიტომ საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის და თეატრალიზებულ საპროტესტო აქციებსაც აანონსებს. „ვერსიას“ უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე ესაუბრა.**

— ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს ილუზია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დავით ბაქრაძე გაიმარჯვებს. შესაბამისად, ისინი არ აწარმოებენ გამარჯვებაზე ორიენტირებულ კამპანიას. ნაციონალების მთავარ მიზანს პოლიტიკურ თამაშში დარჩენა და არჩევნებში 20%-იანი მაჩვენებლის მოპოვება წარმოადგენს. გიორგი მარგველაშვილს კი პირველივე ტურში გამარჯვება უნდა და მეორე ტური არ აწყობს. ამ ფონზე, არ გამოვრიცხავ, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის გარკვეული პოლიტიკური გარიგებაც შედგეს.

— **თუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური წინასწარმეტყველება ახდა და გიორგი მარგველაშვილმა პირველივე ტურში გაიმარჯვა, ეს „ოცნება-ნაციონალების“ გარიგების მანიშნებელი იქნება და არა იმის მაჩვენებელი, რომ ხელისუფლებას საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგი აქვს?**

**— რეალობას თვალი გავუსწოროთ: ბოლო ოცი წლის განმავლობაში ვინ აყალბებდა არჩევნებს საქართველოში — ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი. ორივე ვირტუოზი გიორგი მარგველაშვილისთვის საკმაოდ ახლობელია... მეტიც, კოალიციის კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში მაჭავარიანის ძმა, ვანო მაჭავარიანი ეხმარება, ამიტომ საკმაოდ ლოგიკურად მეჩვენება სქემა — მიხეილ მაჭავარიანის დახმარებით, გიორგი მარგველაშვილი, მინიმუმ, 51%-ს მიიღებს და მეორე ტურს თავიდან აიცილებს, სამაგიეროდ კი, დავით ბაქრაძეს არჩევნებში მიღებულ შედეგს გაუზრდიან. მე, გიორგი მარგველაშვილი და ვანო მაჭავარიანი თანაკლასელები ვიყავით, ამიტომ ზუსტად ვიცი, მიხეილ მაჭავარიანთან მარგველაშვილს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა და გარკვეული კონტაქტი ახლაც აქვს. ორივე პოლიტიკურ კულისებში მოქმედების თვალსაჩინო დიდოსტატია.**

— **გიორგი მარგველაშვილი არც მალავს, რომ ნაციონალებისა და შემდეგ, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გუნდის წევრი იყო...**

— გიორგის პიროვნული კონფლიქტი მიხეილ სააკაშვილთან ჰქონდა, თუმცა ზურაბ ჟვანიას ერთგული თანამებრძოლი იყო. ზოგადად, მას საკმაოდ სუფთა ბეგრაუნდი აქვს — დაახლოებით 1992-დან 2012 წლამდე აბსოლუტურად ამერიკელების ხელფასზე იყო. სანამ „ჯიპას“ უხელმძღვანელებდა, NDI-ში მუშაობდა, ორივე ორგანიზაციას კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებს.

— **ამ ეტაპზე, ხელისუფლებას ნაციონალების შენარჩუნება რატომ აწყობს? მით უმეტეს, კოალიციის კანდიდატი საზოგადოებას ჰპირდება, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში კოჰაბიტაცია დასრულდება.**

— გიორგი მარგველაშვილმა მართლაც მკვეთრი განცხადება გააკეთა, მაგრამ არ მგონია, ვანო მაჭავარიანი მიშა მაჭავარიანთან ერთად მოიშოროს. ეს ადამიანები მხოლოდ ტექნოგრაფი კარიერისტები არიან! ასე რომ, არ მგონია, გიორგი მარგველაშვილი გულწრფელად ფიქრობდეს, საქართველოში კოჰაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულდებაო.

— **კოჰაბიტაციის წინააღმდეგ, გია კორკოტაშვილთან ერთად, საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნით. უკვე ჩამოყალიბდით, პოლიტიკურ პროცესს რა ფორმით დაუპირისპირდებით?**

— მოსახლეობას ხშირად ვხვდები და ვიცი, რომ

**საზოგადოებას კოჰაბიტაცია აღიზიანებს. უახლოეს მომავალში, ბაჩო ახალაიაც კი გამოვა „გაპრავებული“, რაც ხალხს იმდენად გაამწარებს, შესაძლოა, სამოქალაქო ომამდეც მივიდეთ. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ნაციონალური მოძრაობა დამნაშავე ძალად გამოცხადდეს, რაც მხოლოდ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას არ გულისხმობს, თუმცა პროკურატურა ამასაც ვერ ახერხებს.**

რატომღაც ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებას დაავიწყოს, რომ ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში ნეოკოლონიალური დაჯგუფების მიერ მოსახლეობის 90% დამონებული და დაჩოქებული იყო, ხოლო ვინც მონობაზე უარს ამბობდა, სანდრო გირგვლიანის მსგავსად, იტაცებდნენ და კლავდნენ, ან ციხეში აგდებდნენ და აწამებდნენ. არ გამოუვათ, ჩვენ ამ ადამიანებთან კოჰაბიტაციის უფლებას არავის მივცემთ!

— **გია კორკოტაშვილმა გულდაწყვეტით განაცხადა, სანამ საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნას გადავწყვეტდით, ბიძინა ივანიშვილს თანამშრომლობას ვთავაზობდით, შუამავლებიც კი გყავდაო. პრემიერისგან თანამშრომლობაზე უარი რატომ მიიღეთ?**

— „ქართულ ოცნებაში“ ბევრ ადამიანს ვიცნობ და გვქონდა კიდეც თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ ამ საკითხზე არ შევჩერდები. მთავარი ისაა, რომ ნაციონალებთან კოჰაბიტაცია ჩვენთვის წარმოუდგენელია. სხვათა შორის, უახლოეს მომავალში, თბილისში გაწბილებული ფერმერები აპირებენ ჩამოსვლას. ისინი „საქართველოს ბანკის“ ყველა ფილიალში ფუნას შეაგდებენ, რადგან გაღლეტაში ამ ბანკს ადანაშაულებენ. როგორც კი ფერმერები ფუნას გააშრობენ, აქციებიც დაიწყება. მათ ჩვენც დავეხმარებით... ასე რომ, მასშტაბური აქციები გველის.

— **კოჰაბიტაციას კანონდარღვევით უნდა ებრძოლოთ?**

— შვიდჯერ დამაკავეს და კიდევ ერთხელ დაჭერის არ მეშინია! ტყიბულის, ზესტაფონის, ჭიათურისა და სხვა ნებისმიერი ქალაქის ქარხნების მუშებს, უმუშევარ კლასსა და ყველა იმ ადამიანს დავუდგებით გვერდით, რომლებსაც პოლიტიკოსების უუნარობის გამო, აუტანელი ცხოვრება აქვთ. რაც მთავარია, ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რადგან პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის 40% უკვე აუტანელი ხდება. დღეს ტელეეთერიდან ჩიორა თაქთაქიშვილი და დავით საყვარელიძე დაგვჩხავიან, რომლებიც იმდენად გაუნათლებლები არიან, რომ ევროპის საშუალო კოლეჯშიც კი არავინ მიიღებდა. კოალიციაშიც აბსოლუტურად განსხვავებული ხედვების მქონე პოლიტიკოსების ჯოგია შეყრილი, რაც საერთო ჯამში, ქვეყანაში ქაოტურ მდგომარეობას ქმნის.

— **ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა პრემიერმა უკვე გამორიცხა იმ მოტივით, რომ ქართულმა საზოგადოებამ კონსტიტუციის პატივისცემა უნდა ისწავლოს.**

— ქართველებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი უნდა გავიაზროთ: ბურჟუაზიამ კი არ უნდა მართოს ქვეყანა, არამედ ხალხი უნდა დადგეს ქვეყნის სათავეში.

**ჩვენთან ქვეყანას მართავს ბიძინა ივანიშვილი, როგორც ყველაზე მდიდარი ადამიანი და მასთან ერთად, პროცესების სათავეში კიდევ რამდენიმე მდიდარი ადამიანი დგას. ჩვენთან დემოკრატია კი არა ოლიგოქარტიაა, რასაც აუცილებლად შევებრძოლებით. წინასწარ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ვითარების შეცვლა თითოეული ჩვენგანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ჩვენს ორგანიზაციას მრავალარხიანი დიპლომატიური ინსტიტუტი ჰქვია, რომლის ბაზაც ვაშინგტონშია. ორგანიზაციის თავმჯდომარე კი გაერო-ში ამერიკის ყოფილი ელჩი ჯონ მაკდონალდი გახლავთ.**

საქართველოში არაერთ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ, მათ შორის საქართველოს პროფკავშირებთან, რომელთაც კარგი ინიციატივები აქვთ ხოლმე.

— **საუბრის დასაწყისში გიორგი მარგველაშვილის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანეთ. თქვენი საზოგადოებრივი მოძრაობა რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერს მხარს?**

— პირადად მე, ჯერჯერობით, საქართველოს მოქალაქე არ ვარ. არ მაქვს უფლება, ვინმეს ხმა მივცე, თუმცა ბუნებრივია, ხალხს იმ კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ, რომელიც ჩვენ მოთხოვნებს გაითვალისწინებს და პრაქტიკაში განახორციელებს. დიახ, არჩევნებამდე ორი დღით ადრე ვურჩევთ ადამიანებს, რომელ კანდიდატს მისცენ ხმა.

— **საზოგადოების მრჩევლის ამბიციაც გქონიათ...**

— ეს ამბიცია არ არის. უბრალოდ, არ გვინდა, ხალხი იმ ხელისუფლების მონა იყოს, რომელიც თავის მხრივ, საერთაშორისო კაპიტალის მონაა. თუ ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ, ეკონომიკური კეთილდღეობა მოქალაქის უპირველესი უფლებაა. ბავშვი რომ იბადება, მას აქვს უფლება, ჰქონდეს სახლი და არ მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ უფლებებზე მაღლა მილიონერი ბანკირებისა თუ ბიზნესმენების უფლებებს დააყენებს.

## ვერსიანიუსი




### ნაციონალური მოძრაობა „კრიმინალური ავტორიტეტების“ მიერ ციხეების მართვის სქემას აქვეყნებს

ნაციონალების ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებას, ე.წ. რეზბალნიცას ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერია, იგივე ტარასა მართავს.

ნაციონალების სქემის მიხედვით, ქსნის ციხეს მართავენ მურმან ტვილდიანი იგივე „ხალვა“, ასევე ირაკლი მალანია, იკო ნოხაძე, კახა გურგენიძე და ედგარ მამედოვი.

ქსნის ციხეში, ნაციონალების ცნობით, საერთო რეჟიმს ლაშა ქებურია „უყურებს“, კარცერს — ზაქრო ჯანგულაშვილი, სასადილოს — ჯაბა ხოსბერუაშვილი და ავთანდილ თავაძე, ხოლო სამედიცინო ნაწილს — გიორგი ილდანი.

გამოქვეყნებული სქემის მიხედვით, ე.წ. ტუბზონას მართავს კრიმინალური ავტორიტეტი არმაის გრიგორიანი, იგივე „მაისა“.

ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული სქემის მიხედვით, გეგუთის კოლონიას ლაშა კვანტალიანი „აკონტროლებს“, ხოლო რუსთავის №6 დაწესებულებას მირიანა, იგივე „ჟინვალა“.

რუსთავის №17 დაწესებულებას კი, ნაციონალების ინფორმაციით, მართავენ გელა ტერტერაშვილი და კირილე ფხაკაძე, რომელიც მათივე ცნობით, ორი პოლიციელის მკვლელობისთვის არის გასამართლებული.

ამავე სქემის თანახმად, გლდანის ციხის ე.წ. მაყურებლები კი, ზურაბ ნონიაშვილი და ზურაბ ბრეგაძე იგივე, „პრაკოლა“ არიან, ეს უკანასკნელი კი, ნაციონალების ინფორმაციის თანახმად, გაერო-ს თანამშრომლის მარია ბრილსკას მკვლელობისთვის არის გასამართლებული.

*„ინტერპრესნიუსი“*







# პრეზიდენტობის ცნობილ და უცნობ კანდიდატთა პოლიტიკური მარგალიტები

## უფლისგან გამოგზავნილნი, სატანასთან მებრძოლნი, ცესკო-სგან მოწონებულ-დაწუნებულნი და პირველკაცობის მოსურნე დიაცები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**საარჩევნო დოღი ეშხში შედის, პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი კი უპრეცედენტოდ დიდია — ამ დროისთვის, ცესკო-ში ოფიციალურად რეგისტრირებულთა რიცხვი 36-ია, განაცხადის შეტანა 7 სექტემბერს იწურება. 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის განცხადებით წარდგენილი კანდიდატების სია ასეთია: 1. მიხეილ (გელა) სალუაშვილი. 2. ტარიელ ხვედელიძე. 3. ნესტან კირთაძე. 4. გიორგი გახოკია. 5. შალვა ნათელაშვილი. 6. მამუკა ჭოხონელიძე. 7. ნიკოლოზ გორგიჯანიძე. 8. გიორგი თარგამაძე. 9. სერგო ჯავახაძე. 10. გიორგი ჩიხლაძე. 11. მერაბ გორგაძე. 12. გიორგი ლილუაშვილი. 13. გია ჩხიკვაძე. 14. ლევან ჩაჩუა. 15. მერაბ სულიაშვილი. 16. ბესიკ ადამია. 17. ავთანდილ მარგიანი. 18. ავთანდილ ფილაური. 19. ავთანდილ იოსელიანი. 20. მამუკა მელიქიშვილი. 21. ნუგზარ ავალიანი. 22. თეიმურაზ ბობოხიძე. 23. ასმათ მაჭავარიანი. 24. თამაზ ბიბილური. 25. უშანგი დონჯაშვილი. 26. კახა სუხიშვილი. 27. შალვა ცერცვაძე. 28. ნუგზარ ჩხაიძე. 29. თენგიზ გაბიძაშვილი. 30. დავით კაკაბაძე. 31. დავით ჩხეიძე. 32. დავით ბაქრაძე. 33. ვაჟა ჩხაიძე. 34. გიორგი მარგველაშვილი. 35. თორნიკე იზორია. 36. კობა დავითაშვილი... ნინო ბურჯანაძე, აკაკი ასათიანი, ქართლოს ღარიბაშვილი, სალომე ზურაბიშვილი და გამორიცხული არაა, პრეზიდენტობისთვის მომღერალმა გია სურამელაშვილმა და მსახიობმა დიაცმა იონა შაფათავამაც იბრძოლონ.**

როგორც ჩანს, წინასაარჩევნო პერიოდში მოწყენა არ გველის — ზემოხსენებული სუბიექტებიდან, ზოგი ყველა არჩევნების უცვლელი მონაწილეა და უკვე კოლორიტად ითვლება, მაგალითად, **ქართლოს ღარიბაშვილი,** რომელიც ხუთგზის საპრეზიდენტო კანდიდატია და საკუთარ გამარჯვებაშიც, ცხადია, დარწმუნებულია: **„იმიტომ უნდა დამიჭირონ მხარი, რომ დანარჩენ კანდიდატებს პროგრამა არ აქვთ და ვერც შეადგენენ. მარგველაშვილს „ოცნების“ პროგრამა არ გამოადგება, რადგან ის საპარლამენტო არჩევნების პროგრამაა. ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე — ორივე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და რაც იცოდნენ, ყველაფერი გააკეთეს. თარგამაძე დადის და ჰომოსექსუალებს დასდევს... ჩემი ძირითადი მიმართულება იქნება სასამართლო სისტემისა და სახელისუფლებო სტრუქტურების მოწესრიგება. თუ პრეზიდენტი მე გავხდი და ბიძინა ივანიშვილი პრემიერი იქნება, ამაზე უკეთესი ვარიანტი არ არსებობს — მე მივხედავ სასამართლოს, ბიძინა კი მიხედავს ეკონომიკას!“**

საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი გამორჩეული კანდიდატი, ბოლოჟამს აბუნტებული და „ნაოცნებარი“ **კობა დავითაშვილია**, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას გამოეყო, უპარტიო დეპუტატი გახდა და დაიმუქრა, თუ არჩევნებში 3%-ზე ნაკლებს მივიღებ, დეპუტატის მანდატს დავტოვებო. მისი საარჩევნო სლოგანი სამართლიანობის აღდგენა იქნება, ლოზუნგი კი — „ნულოვანი ტოლერანტობა სააკაშვილის ჯალათებს, ყველანი ციხეში!“ მოკლედ, დავითაშვილმა სლოგანი „ოცნებისგან“ აიღო, ლოზუნგი — ნაციონალებისგან, საკუთარი კი აი, ეს მწვავე განცხადებაა: დავითაშვილმა ცესკო-ში განაცხადი ორი დღის წინ შეიტანა და საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო.

პირველი, ვინც საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირდა, არჩევნების და, საერთოდ, ქართული პოლიტიკის კიდევ ერთი უცვლელი მარგალიტი, „ლეიბორისტების“ ლიდერი **შალვა ნათელაშვილია.** და მართლაც, რა არის არჩევნები ქვეყნის ნომერპირველი „ლეიბორისტისა“ და მისი ექსპრესიული ტექსტების გარეშე: ჯერ იყო და, რობინ ჰუდადწოდებული საპარლამენტო არჩევნებზე გვემუდარებოდა, ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანა და მდიდარს რომ წავართმევ, ღარიბს მივცემო. ახლა, ყველაზე პირველმა, ჯერ კიდევ მარტში დაისახელა თავი პრეზიდენტობის კანდიდატად. მოკლედ, ნათელაშვილი ივანიშვილს ამოსაძირკვად „ეჯაჯგურება“. პრემიერის ფავორიტმა, „ჯიპას“ ყოფილმა რექტორმა, განათლების ექსმინისტრმა და ნინო ბურჯანაძის ყოფილმა პარტნიორმა **გიორგი მარგველაშვილმა კი,** საარჩევნო კამპანია ერთი კვირის წინ ნოქალაქევიდან დაიწყო და მას მერე სოფელ-სოფელ დაიარება. მარგველაშვილი უკვე ჰიტადქცეული რამდენიმე ფრაზის ავტორიცაა, მაგალითად, მეჯვრისხეველებს გამოუცხადა, „სამჭკუაშვილი ვარ, ქრისტე კი არა“. მერე, მეჯვრისხეველებმა რუსეთთან გზების გახსნის დაგვიანების გამო უსაყვედურეს და მარგველაშვილმა მიუგო — ღვინო ხომ გავიტანეთ? ბორჯომი ხომ გადის უკვე? ატამი ბევრი გაქვთ და სასკოლო წიგნებიც უფასოაო და გლეხები სულ გადარია, თუმცა მისი მთავარი დაპირება ასეთია: **„საქართველო აღარ იქნება პოლიციური, მედია აღარ გაკონტროლდება და მთავარი საზრუნავი ფიზიკური გადარჩენა აღარ იქნება!“** ისე, თუკი ივანიშვილმა ასე გააგრძელა და ყველა არხი დახურა, გასაკონტროლებელი მედია მართლაც აღარ დაგვრჩება, თუმცა ამას ალბათ, ყოფილი ჟურნალისტი შალვა რამიშვილი არ დაუშვებს, რომელიც მარგველაშვილის შტაბის პიარის უფროსია. საარჩევნო შტაბის უფროსის პოზიციაზე კი კვლავ დავით საგანელიძეა, დეპუტატი ირინა იმერლიშვილი „ოცნების“ კანდიდატის ინტერესებს ცესკო-ში დაიცავს.

პრეზიდენტობის კიდევ ერთი ძალიან პოპულარული კანდიდატი **ნიკოლოზ გორგიჯანიძე** — არც მეტი, არც ნაკლები — თვით უფლის მხარდაჭერით სარგებლობს და ყველაზე ორიგინალურ დაპირებებს გვაძლევს: **„ჩემი კონკურენტი არის მხოლოდ სატანა... მე რომ მოვიდე პრეზიდენტად, საქართველოში აღარ იქნება დამწვრობის ცენტრი და თურმანიძის მალამო უფასო იქნება. საპატრიარქოს გადავცემ პარლამენტის შენობას, გავაკეთოთ დიდი ვატიკანი! მეცოდება ყველა, ვინც გვერდში არ ამომიდგება, თორემ მე უკვე სამოთხეში ვარ... პენსია 300 დოლარამდე გაიზრდება, დიასახლისებს თვეში 200 დოლარი, უსაქმურებს კი, 100-დან 150 დოლარამდე ექნებათ“.**

უსაქმურობის რჩეული გორგიჯანიძე თუ არა, **ბესიკ ადამია** მაინც გახდება, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის იმედი აქვს, რომ საარჩევნო კამპანიას დაუფინანსებს, მთავარ კონკურენტად ფულს მიიჩნევს და ფიქრობს, რომ **„საქართველოს ქუთაისური ჯიგარის, ნამდვილი ქართველი წარმომავლობის მქონე კაცი სჭირდება“.**

პრეზიდენტობის სუპერმორწმუნე კანდიდატის, **მიხეილ (გელა) სალუაშვილის** საპრეზიდენტო პროგრამის ნახვა საიტ „უფალი გე“-ზე შეგიძლიათ, მისი მოკლე რეფრენი კი ასეთია: მართლმადიდებლობა, ნეიტრალიტეტი, მშვიდობიანი კავკასია. სალუაშვილს უკვე აქვს 26 000-ზე მეტი მხარდამჭერის ხელმოწერა და, შალვა ნათელაშვილთან ერთად, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ეს ხელმოწერები ცესკო-ში წარადგინა. მისი სლოგანია: „აირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო“, სალუაშვილი მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას აპირებს და მისი მოქმედების მიზანიც სამართლიანობის აღდგენაა, რელიგიურ კონტექსტში: **„ცოდვით დაცემას სასჯელად სამოთხის ბაღიდან გამოძევება მოჰყვა. უფალ იესო ქრისტეს მეორედ გაცხადების შემდგომად, განკითხვის დღეზე გავლით, რჩეულები კვლავ სამოთხეში დაბრუნდებიან, ანუ ეს პროცესი დარღვეული სამართლიანობის აღდგენით უნდა დასრულდეს!“**

კანდიდატ **უშანგი დონჯაშვილსაც** მასშტაბური გეგმები აქვს — პრიორიტეტი მეანაბრეების უფლებების დაცვაა, რასაც 1996 წლიდან მოითხოვს და, მისი გათვლით, მხარს 2,5 მილიონი მეანაბრე მხარს დაუჭერს!

პრეზიდენტობის „ტრადიციონალისტი“ **კანდიდატი აკაკი ასათიანი** ახლახან ოთხსართულიანი სახლიდან გამოასახლეს. იპოთეკარები ირწმუნებიან, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანხა ასესხეს, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია.

ბედს კიდევ ერთხელ ცდის ქრისტიან-დემოკრატი **გიორგი თარგამაძე**, რომელსაც ასაკის მიუხედავად, დიდი პოლიტიკური ბეგრაუნდი და დიდი ამბიციები აქვს, თუმცა საკმაო დრო დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად — მისი აზრით, ბრძოლა ისევ ორპოლუსიანი იქნება და ოცნება-ნაციონალებს შორის გაიმართება, ამიტომაც მოსახლეობასთან კერძო შეხვედრების პარალელურად, გაერთიანების იმედს მაინც არ კარგავს.

აი, „ნაციონალების“ ვითომ პრაიმერის გამარჯვებული კი **დავით ბაქრაძეა**, რომელმაც პარტიული შიდაშეჯიბრი მხოლოდ ევროპული სტანდარტების საამებლად გამართა. პარლამენტის ორგზის თავმჯდომარე დღეს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერია და „ოცნების“ მაღალჩინოსნებთანაც კონსტრუქციული ურთიერთობით გამოირჩევა. ბაქრაძე 2004 წლიდან დღემდე ყველა მოწვევის პარლამენტის დეპუტატია, რამდენიმე თვის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრიც გახლდათ, თუმცა ბოლო დროს გამოჩნდა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება კოჰაბიტაციის მხარდაჭერა-გაღრმავებაა. ბაქრაძეს, მარგველაშვილსა და ბურჯანაძესთან 2013 წლის არჩევნებში მთავარ კონკურენტებად განიხილავენ.

ცალკე თემაა „ქალთა სახეები“ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მათ შორის ფავორიტი „ვარდების რევოლუციის“ სამი ლიდერიდან ერთ-ერთი „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი **ნინო ბურჯანაძეა**. ტრადიციულად, ამბიციური ბურჯანაძე ჩვეულებას არც ამჯერად ღალატობს და აცხადებს: **„პოლიტიკაში კაცებმა ვერ გაამართლეს, დროა, ქალები მივეხმაროთ!“** პარლამენტის ექსთავმჯდომარე და პრეზიდენტობის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი ბურჯანაძე სწორედ დაუკმაყოფილებელი ამბიციების გამო, ნაციონალებს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოეყო და ოპოზიციაში გადავიდა. იყო 2009 წლის ე.წ. აპრილის აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რის შემდეგაც საზოგადოებრივი მოძრაობა სახალხო კრება შექმნა და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევაც გამოიარა. ბაქრაძე-მარგველაშვილი სხვადასხვა დროს მისი თანაგუნდელები იყვნენ, ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით კი, ივანიშვილმა ბურჯანაძეს კოალიციიდან ნაკლებრეიტინგული კანდიდატი იმიტომ დაუსახელა, რომ ქალბატონი „ბელა ჩაო“ პრეზიდენტად გააფორმოს.

კიდევ ერთ ამბიციურ განაცხადს კიდევ ერთი პრეზიდენტობის მსურველი ქალი **ნესტან კირთაძე** აკეთებს: **„მე უკვე მოქმედი პრეზიდენტი ვარ!“** პროფესიით ისტორიკოსი ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელიც იყო, მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკური მდივანიც და წლების განმავლობაში — „ლეიბორისტების“ საერთაშორისო მდივანიც. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ნესტან კირთაძემ ნათელაშვილი მიატოვა და ქართველებისა და აფხაზების შესარიგებლად, სამშვიდობო სახლი დააარსა. შესაბამისად, მისი მთავარი საარჩევნო ლოზუნგიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენაა.

კიდევ ერთი ქალბატონი საპრეზიდენტო კანდიდატი **ასმათ მაჭავარიანია** — 7 შვილის დედა, ფილოლოგი, რომელიც სრულიად გულწრფელად მიიჩნევს, რომ უკონკურენტოა და ამომრჩეველს ასეთ ლექსს უძღვნის: **„არ მსურს პრეზიდენტობა, არ მსურს პოლიტიკოსობა, არ მსურს რეზიდენტობა, მაგრამ მე ვინ მეკითხება, ლაღი ვარ თუ მწუხარი, ამას მშვენივრად აგვარებს რეჟისორი უფალი“.** „რეჟისორი უფალი“ არა, მაგრამ არჩევნების არბიტრი ცესკო კი, ცნობილ ქალბატონს, სააკაშვილის ყოფილ თანაგუნდელსა და დიპლომატს, საგარეო საქმეთა ექსმინისტრ **სალომე ზურაბიშვილს** ორმაგი მოქალაქეობის გამო, საპრეზიდენტო კანდიდატად ჯიუტად არ არეგისტრირებს, თუმცა რას ვიზამთ — ამ კანონის შეცვლაც „ოცნების“ ერთ-ერთი აუსრულებელი დაპირებაა...









# „არჩევნების გაყალბება „ქართული ოცნებისთვის“ დასასრულის დასაწყისი იქნება!“

## დავით დარჩიაშვილი ფიქრობს, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ უფრო მასშტაბური რეპრესიები დაიწყება

რუსუდან შელია
557-100-768

**რატომ ფიქრობს, რომ გიორგი მარგველაშვილი, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობას არ გაახარებს და რა ტიპის გადაჯგუფებები იგეგმება ექსმმართველ პარტიაში? — წინასაარჩევნო გარემოსა და სხვა პოლიტიკურ პროცესებს „ვერსიასთან“ საუბრისას საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი აფასებს.**

— ხელისუფლება ჩვენ პოლიტიკურ დევნას განაგრძობს. შესაბამისად, იმაზე საუბარი, რომ წინასაარჩევნო გარემო ყველა კანდიდატისთვის სამართლიანი და თანაბარია, ზედმეტია. სამსახურებიდან ათასობით ადამიანი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს, ამიტომ საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა ზედმეტ ტვირთად იქცა. ხელისუფლების მსგავსი დამოკიდებულება და ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნება გახდა იმის მიზეზი, რომ ჩვენი მომხრეები პოლიტიკურ პოზიციას ხმამაღლა ვერ აფიქსირებენ.

**— ბატონო დავით, თქვენი მხარდამჭერების შემცირების მიზეზი, იქნებ, ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობაა?**

— ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითია. არავინ გაურბის პასუხისმგებლობას, პირიქით, ჩვენი მოთხოვნაა, დამნაშავე შესაბამისი მტკიცებულებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ გასამართლდეს, მაგრამ ვხედავთ, რომ მერაბიშვილისთვის წარდგენილი ბრალდება სუბიექტურია. ხელისუფლება მედიის კუთხითაც არანორმალური ვითარების შექმნას ცდილობს, თუმცა 9 წლის განმავლობაში, მედიაპლურალზმის მიმართულებით, საბედნიეროდ, არაერთი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა.

**— პროგრესულ ნაბიჯად „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრას მიიჩნევთ?**

— მედიაში, დანარჩენი სფეროების მსგავსად, ჩავარდნები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ პარალელურად, პროგრესიც იგრძნობოდა.

**„იმედში“ სპეცრაზმი, მართლაც, აბსოლუტურად კანონსაწინააღმდეგო ფორმით შევიდა, მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფოში მსგავსი შეცდომების გარეშე მოქმედება სრულიად წარმოუდგენელია. თბილისი ქაოსისა და სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე იყო და ხელისუფლებამ უკეთესი გამოსავალი ვერ იპოვა. დემოკრატიზაციის რთულ გზაზე ყველაფერი დიდი ბრძოლისა და შრომის ფასად მიიღწევა.**

**— რა ამის პასუხია და, გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, 27 ოქტომბერი ქვეყანაში კოჰაბიტაციას დაასრულებსო...**

— ამ განცხადებას საკმაოდ ნეგატიურად ვიღებ. გიორგი მაგველაშვილი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ გაახარებს და პოლიტიკური შურისძიება ბევრად მასშტაბური ფორმით გაგრძელდება. კოჰაბიტაცია პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორ არსებობას გულისხმობს, მაგრამ საზოგადოების ვიწრო წრე ფიქრობს, ნაციონალური მოძრაობა დანაშაულებრივი პოლიტიკური გაერთიანებააო.

**— სხვათა შორის, ეს „ვიწრო წრე“ საზოგადოებრივ მოძრაობებს აფუძნებს და ხალხმრავალი აქციების ჩატარებას გეგმავს...**

— მოდით, ვთქვათ, ობიექტურად ვინ გაზომა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის მომხრეა? დაზუსტებით ვიცი, რომ ხელისუფლების გარკვეული ჯგუფი საზოგადოებაში ჩვენს წინააღმდეგ ფსიქოზს ხელოვნურად აღვივებს. მთავარია, ჩვენზე ნადირობის კვალობაზე, პანიკური და ქაოტური ნაბიჯები არ გადავდგათ.

**— „ქაოტურ ნაბიჯებში“ შიდაპარტიული გადაჯგუფებები უნდა ვიგულისხმოთ? არცთუ დიდი ხნის წინ, აკაკი ბობოხიძემ პარტიის თავმჯდომარეობიდან მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის გადაყენების მოთხოვნა გააჟღერა. ეს პროცესი პარტიაში ჯერ არ დაწყებულა?**

— დიახ, რაციონალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას, მაგრამ ყველაფერი ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ამის შესახებ პრეზიდენტმა თავის წერილშიც ისაუბრა, თუმცა მაშინ, როცა პარტიის გენერალური მდივანი წინასწარ პატიმრობაშია, პარტიის თავმჯდომარის შეცვლა ან თუნდაც შიდაგადაჯგუფებები ნამდვილად ამორალური და გაუმართლებელი იქნება. მეტიც, პარტია ნაციონალური მოძრაობის არსებობა მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია. სწორედ ამ ადამიანებმა, პარტიის სხვა წევრებთან ერთად, ეს ქვეყანა აქამდე მოიტანეს. ბუნებრივია, ამ გზაზე არაერთი განსაცდელი და პრობლემა შეიქმნა, შესაძლოა, პოლიციაც ძალას ამეტებდა — მხოლოდ გირგვლიანის საქმე რად ღირს, მაგრამ ყველაფერი ეს სახელმწიფოებრიობის დაბრუნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

**— ამ შეცდომებს მაშინ რატომ არ აღიარებდით, როცა ხელისუფლებაში იყავით?**

— შეცდომებს ჩვენი პარტია ყოველთვის ამჩნევდა, თუმცა ბრძოლისთვის თავი არ დაგვინებებია, როგორც ეს თავის დროზე შევარდნაძემ გააკეთა.

**სააკაშვილმა სახელმწიფო გამოაცოცხლა, გადასახადების აკრეფა დაიწყო და საზოგადოებაზე მზრუნველი პოლიცია შექმნა. მართალია, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ყველაფერში მისი წვლილი უნდა დავინახოთ, მაგრამ ხალხი გონიერია. ჩრდილში მყოფი ბიზნესმენის ჭკუაზე სახელმწიფო არასოდეს იმართებოდა. თუ ქვეყანას რომელიმე ბიზნესმენი ფულით ეხმარება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო სადავეების ხელში აღებაზე პრეტენზია გაუჩნდეს.**

თუ მიხეილ სააკაშვილი არ იქნება პარტიაში, მაშინ ვინ უნდა იყოს? ახალმა სახეებმა ჯერ იმ „ძველი სახეების“ მხარდაჭერა უნდა მოიპოვონ, რომლებსაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით როგორც პარტიის, ასევე ქვეყნის წინაშე. არავინ იფიქროს, რომ რომელიმე ადგილზე მაქვს პრეტენზია, მაგრამ ამ ადამიანებს ისტორია, ალბათ, უკეთ შეაფასებს.

**— ისიც ითქვა, ზურა ხარატიშვილის ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან გადადგომა და კიდევ ერთი პოლიტიკური ცენტრის შექმნის ინიციატივა ნაციონალური მოძრაობის ახალი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალის შექმნის მცდელობააო.**

— კარგი იქნება, თუ პოლიტიკური სპექტრი ბევრად მრავალფეროვანი გახდება და ასპარეზზე პროდასავლური ძალები გამოჩნდებიან. უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ივანიშვილისა და ბურჯანაძის პოლიტიკური ცენტრები პროდასავლური სულაც არაა. პირიქით, ნინო ბურჯანაძე შევარდნაძის ლოგიკასა და ფილოსოფიაში სრულად ჩაჯდა. ივანიშვილთანაც ბევრია ასეთი. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ხარატიშვილმა არცთუ კარგი დრო შეარჩია. მის წინაშე საკმაოდ საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა — საპრეზიდენტო არჩევნების მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარება.

**— ნაციონალური მოძრაობის ინტრიგაზე ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა...**

— სისულელეა, პირიქით, ხარატიშვილზე, რომელიც არჩევნებში რეალურ სურათს „დადებდა“, ზეწოლა ხელისუფლებამ მოახდინა. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ არჩევნების შედეგები მისთვის მომგებიანი არ იქნება.

**— „ოცნებას“ საკმარისი რეიტინგი არ აქვს?**

— არ მგონია, გიორგი მარგველაშვილმა სახარბიელო შედეგი „დადოს“, საქართველოს მოსახლეობა კი არჩევნების გაყალბებას არავის პატიობს. თუ არჩევნები გაყალბდა, ეს „ქართული ოცნებისთვის“ დასასრულის დასაწყისი იქნება. სხვათა შორის, დავით ბაქრაძეს გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

**— ამ ეტაპზე 10%-იანი რეიტინგით, ბაქრაძეს არჩევნებში გამარჯვების ამბიცია აქვს?**

— პოლიტიკოსმა ყოველთვის პირველი ადგილისთვის უნდა იბრძოლო. მიიღებს საპატიო მეორეს? — ღირსეულად უნდა შეხვდეს. ჩვენი მომხრე არაა, მაგრამ ხვდება, რომ „ოცნება“ ვერ ამართლებს? — არ მგონია, არჩევნებში ნინო ბურჯანაძეს მისცენ ხმა. ამ ქალბატონს, ალბათ, საზოგადოების ის ნაწილი დაუჭერს მხარს, რომელსაც ეგონა, რომ ბიძინას გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში ნაციონალების სისხლი დაიღვრებოდა ან მეტ ფულს იშოვიდა.

ზოგადად, ქართველი ამომრჩეველი, პირობითად, სამ ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყნის მომავალი ევროპული კურსია, მეორე — დღემდე წარსულის ბურუსშია გახვეული და მუდმივად ჰგონია, რომ ვიღაც ქართულ მენტალიტეტს ართმევს, მესამე ნაწილს კი, ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რომ საზოგადოების მმართველი ელიტა გახდნენ. დარწმუნებული ვარ, სამივე მათგანი არჩევნების დღეს ცივი გონებით იმოქმედებს და ნინო ბურჯანაძეს გამარჯვების შანსს არ დაუტოვებს. ეს, პირველ რიგში, ქვეყნისთვის იქნება სახიფათო.

## ვერსიანიუსი

### ცესკო-მ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე სარეფერენდუმო საკითხი არ დაარეგისტრირა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე სარეფერენდუმო საკითხი არ დაარეგისტრირა, — ამის შესახებ ნათქვამია ცესკო-ს ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

კომისიის გადაწყვეტილებით, საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას (ნანა კაკაბაძე, ტატიანა ხოხიაშვილი, ავთანდილ რეხვიაშვილი, გელა ნიკოლაიშვილი და გია ტაბლიაშვილი) და მის მიერ შემოთავაზებულ სარეფერენდუმო საკითხს: „გსურთ თუ არა, რომ საქართველოში 2014 წელს ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? — დიახ, არა“ — უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

საინიციატივო ჯგუფის წევრმა გელა ნიკოლაიშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნის მიზეზი ის იყო, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები „არანორმალურ და არაორდინალურ გარემოში ჩატარდა“.

**„ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში არ ჩატარებულა. ამ არჩევნებში ვინც კი ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ ან ნაციონალურ მოძრაობას, ეს იყო ფაქტობრივად გადარჩენის ინსტინქტით მიცემული ხმა და არა — რეალურად გაანალიზებული და პოლიტიკურ ორიენტაციებზე დაფუძნებული. ისინი, ვინც „ოცნებას“ აძლევდა ხმას, ფიქრობდა, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა დარჩება, ჩვენი გადარჩენა არ იქნება და ჩვენ ციხე ან სიკვდილი მოგველის. ასევე, ვინც ნაციონალურ მოძრაობას მისცა ხმა, იქიდანაც გადარჩენის საკითხი იყო. უფრო მეტი იყო ისეთი, ვინც შიშის და მოსყიდვის გამო მისცა ხმა. აქედან გამომდინარე, დღეს არ არის ვითარება, რომ ვიღაცამ შიშით და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისცეს ხმა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბოლო არჩევნები არანორმალურ და არაორდინალურ ვითარებაში ჩატარდა, დღეს უკვე დალაგებულ სიტუაციაში უფრო ადეკვატურად აისახება ხალხის განწყობა პარლამენტში“**, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

***„ინტერპრესნიუსი“***

### პრეზიდენტმა მფრინავები შამილ და ზაურ ქორთოშიძეები დააჯილდოვა



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქვეყნის პირველმა პირმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას გამოვლენილი მამაცობის, მაღალი პროფესიონალიზმისა და უმწიკვლო სამსახურისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების სარდლობის შვეულმფრენების ბაზის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი შამილ ქორთოშიძე წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საავიაციო რაზმის სატრანსპორტო ვერტმფრენების რგოლის ყოფილი უფროსი მფრინავი, ვიცე-პოლკოვნიკი ზაურ ქორთოშიძე — ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

მრავალწლიანი თავდადებული სამსახურისთვის, საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ ზაურ ქორთოშიძე რამდენიმე თვის წინ მედიის ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოხვდა, რაც ითქვა, რომ შსს-ს მიერ ტერაქტის მცდელობისთვის დაკავებული პირები — მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი მის სახლში ცხოვრობდნენ.

მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს, რომ შსს-ს მიერ დაკავებულები პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის, კერძოდ, მისი პირადი მფრინავის, ვერტმფრენების კომპანია „თუშეთის“ მფლობელის, ზაურ ქორთოშიძის კუთვნილ სახლში ცხოვრობდნენ.

მოგვიანებით, ამ თემას თავად მფრინავიც გამოეხმაურა და ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. ზაურ ქორთოშიძის თქმით, დასახელებულ პირებს მის სახლში არასოდეს უცხოვრიათ.

***„ინტერპრესნიუსი“***

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ინტერვიუ, რომელიც ყველა დაზარალებულმა იპოთეკარმა უნდა წაიკითხოს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გედევან ფოფხაძის ინიციატივით, დაგეგმილია ცვლილებები, რომლითაც იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე აღსრულება 1 თებერვლამდე უნდა შეჩერდეს. კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, მაგრამ პრემიერ-მინისტრის კრიტიკული შენიშვნის შემდეგ განხილვა შეჩერდა და სექტემბრისთვის გადაიდო. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმაც გააკრიტიკეს, რასაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ. საბანკო და ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ გედევან ფოფხაძის ინიციატივას უარყოფითი ეკონომიკური შედეგი მოჰყვება და ამ სახით მისი მიღება არ შეიძლება. არის თუ არა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა სახელმწიფოს უხეში ჩარევა კერძო სექტორში? — „ვერსიას“ საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია ესაუბრება.**




## რატომ არ უნდა მიიღოს პარლამენტმა „იპოთეკარების კანონი“, რას აპროტესტებენ კომერციული ბანკები და რატომ დააფრთხობს გედევან ფოფხაძის საკანონმდებლო ინიციატივა ინვესტორებს

— კარგად მესმის, რომ ამ პრობლემის გარშემო რთული სოციალური ფონი შეიქმნა, მაგრამ საბანკო სექტორი არაფერ შუაშია, რადგან ბანკები იპოთეკურ სესხებს რისკების გათვლით განიხილავენ. თითოეულ დაზარალებულებს ოთხი-ხუთი ბანკი მაინც ჰქონდათ შემოვლილი, მაგრამ იპოთეკური სესხის დამტკიცებაზე უარს იღებდნენ. ამის შემდეგ მიმართეს კერძო იპოთეკარებს, რომლებმაც ეს პრობლემა შექმნეს. მესმის, თუკი არ გიჭირს და თანხა არ გჭირდება, ამ ტიპის სესხს აიღებ, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, რატომ მიიღო უარი ამ ხალხმა კომერციული ბანკებისგან. უარის მიზეზი ის იყო, რომ ბანკი იპოთეკურ სესხს მხოლოდ მსესხებლის დადასტურებული შემოსავლების საფუძველზე გასცემს ანუ მსესხებელმა უნდა დაადასტუროს, რომ სესხის მომსახურება შეუძლია. დაზარალებულებს დადასტურებული შემოსავლები არ აქვთ, მაგრამ მაღალია რისკი, რომ სესხის დაფარვა ვერ შეძლონ, იპოთეკარს არ აინტერესებს, რადგან მისთვის მთავარი სესხის უზრუნველყოფაა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მსესხებელი თანახმაა, უზრუნველყოფაში საცხოვრებელი ბინა ჩადოს, შესაძლოა, ერთადერთი ბინაც კი... სწორედ ამ მიზეზის გამო შეიქმნა პრობლემა და ამის გათვალისწინებით ვამბობ, რომ არასწორია, თუკი ყველა ეს პრობლემა ერთ ქვაბში მოიხარშება. საერთოდ, იპოთეკა, როგორც სესხის ერთ-ერთი სახეობა, ყველა სახის სესხში მონაწილეობს; მაგალითად, ბიზნესსესხის დროსაც კი, თუკი სესხის უზრუნველყოფა საკმარისი არაა, მეწარმე საწარმოს შენობა-ნაგებობას დატვირთავს იპოთეკით, თუ ესეც არ იქნება საკმარისი, მეწარმემ შესაძლოა, საკუთარი ბინაც კი ჩადოს. სოფლის მეურნეობის პროგრამაც რომ ავიღოთ, სადაც სესხის სამი კატეგორიაა, პირველ კატეგორიაში 100%-ით მონაწილეობს იპოთეკა — გლეხი, რომელიც მცირე რაოდენობის სესხს იღებს, უზრუნველყოფაში საცხოვრებელ სახლს დებს.

**— ბატონო ზურაბ, საბანკო სექტორისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა ეს კანონპროექტი რატომ გააკრიტიკეს?**

— იმიტომ, რომ ცუდი სიგნალია, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ისე ინვესტორებისა და საფინანსო სექტორისთვის. როცა ამ ტიპის საკანონმდებლო ინიციატივებს იღებენ, შესაძლოა, ინვესტორებმა ახალი ტრანშების გამოყოფისგან თავი შეიკავონ. ვფიქრობ, ამ კანონპროექტის ინიციატორებს ზუსტი სტატისტიკა უნდა გაეთვალისწინებინათ, თუ როგორ მონაწილეობდა საბანკო და საფინანსო სექტორი ამ პრობლემაში. შევხვდით პარლამენტის თავმჯდომარეს, კანონპროექტის ინიციატორებს, რომლებსაც ყველაფერი ეს ვუთხარით და ავუხსენით, რომ ეროვნული ბანკიდან ან თუნდაც, აღსრულების ბიუროდან გამოეთხოვათ ზუსტი სტატისტიკა. სხვათა შორის, 2013 წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სექტორმა, ჯამში, მხოლოდ 0,1%-ის იპოთეკური სესხი გასცა. ასეთი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი სწორედ იპოთეკარების პრობლემას უკავშირდება. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნებისმიერ იპოთეკურ სესხს გავლილი აქვს რესტრუქტურიზაცია და ყველა შეღავათი, რაც არსებობს და საქმე აღსრულების ბიუროს მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა. მიუხედავად ამისა, კომერციული ბანკები იპოთეკით დატვირთული ბინებიდან მოქალაქეების გამოსახლებისგან მაშინაც კი იკავებენ თავს, როდესაც საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია — საშუალებას აძლევენ, მევალეებმა საკუთარი ბინები გამოისყიდონ ანუ სესხს გარკვეული ვადით უგრძელებენ, თუმცა, თუ ბანკს გაცემული სესხიდან გარანტია არ აქვს, რომ თანხას ამოიღებს, ცხადია, იპოთეკით დატვირთულ ქონებას წაიღებს. საერთოდ, ეს პროცესი ბანკებისთვის დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული — იურისტების ხარჯები უნდა გაისტუმრონ, კერძო აღმასრულებლებსაც უნდა გადაუხადონ და ბოლოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ბინაც უნდა შეიძინონ.

**— კანონპროექტის მიხედვით, იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე აღსრულება 1 თებერვლამდე უნდა შეჩერებულიყო, ახლა რა ვითარებაა?**

— ვიდრე პარლამენტი არ განიხილავს და არ მიიღებს კანონპროექტს, აღსრულება არ შეჩერდება. დავუშვათ, პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი და 6 თვით შეაჩერა აღსრულება, როგორ გგონიათ, ამ დროის გასვლის შემდეგ პრობლემა მოგვარდება და თანხის გადახდას შეძლებენ? აქედან გამომდინარე, ეს კანონპროექტი, ეკონომიკური თვალსაზრისით, უარყოფით შედეგს მოიტანს და პრობლემაც ბევრად მძაფრად დადგება, რადგან მუდმივად ჩაკეტილ წრეზე ვივლით და ბოლოს, ისევ სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით მოგვიწევს პრობლემის მოგვარება. ამ თანხების მოთხოვნა კი ბიუჯეტიდან აბსურდია და ამის დაშვება არ შეიძლება!

**— თუ კანონპროექტი არ ვარგა, მაშინ გამოსავალი სადაა?**

— როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს შევხვდით, ავუხსენით, რომ კანონპროექტის ამ ფორმით მიღება არ შეიძლებოდა, რადგან საბანკო და საფინანსო სექტორი დაზარალდებოდა. რაც შეეხება გამოსავალს, იუსტიციის სამინისტროში შექმნილია კომისია, რომელშიც ჩართულები ვართ, რათა ეს პრობლემა ცივილური გზით დარეგულირდეს. რთული პრობლემაა, რომელიც საკუთრების კონსტიტუციური უფლების ხელყოფასაც უკავშირდება, რაც არ უნდა დავუშვათ.

**— იპოთეკარების პრობლემა 2008 წლის აგვისტოს ომსა და ფინანსურ კრიზისს უკავშირდება?**

— ამ პრობლემას მხოლოდ ომსა და ფინანსურ კრიზისს ვერ დავაბრალებთ, რადგან 5-6 წლის წინანდელ კი არა, ორი წლის წინანდელ სესხებზეა საუბარი. არც ერთი იპოთეკური სესხი არ არსებობს, რომლის რესტრუქტურიზაციაც არ განხორციელებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები პრობლემური სესხების მფლობელებს მეტ დროს აძლევენ, რათა ვალის გასტუმრება შეძლონ. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სექტორის ბუნება ისეთია, რომ მევალეს დაეხმაროს და თანხა ამოიღოს, უზრუნველყოფა კი დამატებითი გარანტიაა, რომ სესხი დროულად დაიფაროს. შესაბამისად, კომერციულ ბანკს ინტერესი არ აქვს, იპოთეკით დატვირთული ქონება ხელში ჩაიგდოს, რადგან ყველაფერი ეს დიდ ხარჯებს უკავშირდება. იპოთეკით დატვირთული ქონების შეძენა ბანკებისთვის იძულებითი და უკიდურესი ფორმაა, რომლითაც გაცემული სესხები უნდა ამოიღონ.

**საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების წარმომადგენლების პროტესტს დაზარალებული იპოთეკარების კომიტეტი არ იზიარებს. ერთი კვირის წინ, კომიტეტის საორგანიზაციო საბჭომ სპეციალური რეზოლუცია შეიმუშავა, რომელიც საქართველოს პარლამენტს გადაუგზავნა:**

*„2004 წლიდან, საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული მკვეთრად ლიბერალური კურსის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის უფლებამოსილების შეკვეცა და პროპორციულად, კომერციული ბანკების ფუნქციების ზრდა დაიწყო. კომერციულმა ბანკებმა, სახელმწიფოს მესვეურთა ხელშეწყობით, უპრეცედენტოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, „მაღალი რისკის შემცველი“ კრედიტების გაცემა დაიწყეს განვითარების სტადიაში მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, ტელეპიარის დონეზე, აქტიურად ხდებოდა პროპაგანდირება, თითქოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პრიორიტეტული იყო, რეალურად, საგადასახადო და საბანკო სისტემების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების გამო, ეს სეგმენტი მიზანმიმართულად განადგურდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა და ფინანსურმა კრიზისმა, ცხადად წარმოაჩინა სახელმწიფოს დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგები, რის შედეგადაც, დღევანდელი მდგომარეობით, 75 000-ზე მეტი ოჯახის კერძო საკუთრება — საცხოვრებელი სახლი, კითხვის ქვეშ დგას. ჩვენი მიზანია, ხელისუფლებას ჩვენი ერთობა დავანახოთ და სამართლიანობის აღდგენა მოვთხოვოთ. აუცილებელია, პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რომელიც 2004 წლიდან საბანკო სექტორში განვითარებულ მოვლენებს შეისწავლის. კომისიამ უნდა გამოიძიოს, როგორ გახარჯეს კომერციულმა ბანკებმა 2008 წელს, დახმარების სახით გამოყოფილი 2 მილიარდი აშშ დოლარი, რომელიც საბანკო სექტორს გადაურიცხეს. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს მასშტაბით, ხელმოწერების შეგროვების კამპანიას ვიწყებთ. საგამოძიებო კომისიის მუშაობის დასრულებამდე კი ვითხოვთ, გამოცხადდეს მორატორიუმი საცხოვრებელი სახლების გაყიდვაზე“.*

ვერსიანიუსი

## „არქიმედეს“ ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს




ზედამხედველობის სამსახური სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ საქმიანობას ამოწმებს. როგორც სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ნათია კახეთელიძემ განაცხადა, კომპანიაში, 19 აგვისტოს,17:30 საათზე, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ და ვითარების შესწავლა დაიწყეს. მისივე ინფორმაციით, ზედამხედველობის სამსახურმა კომპანიას დროებითი ადმინისტრაციული მმართველი, იურისტი ვლადიმერ ძირკველიშვილი ორი თვით დაუქირავა.

**„ზედამხედველობის სამსახური შემოვიდა შემოწმებაზე, რაც იგეგმება სხვა სადაზღვევო კომპანიებშიც, რომლებიც სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობენ. ჩვენთან შემოსულია დროებითი ადმინისტრაციული მმართველი, რასაც ნამდვილად არ ველოდით. იმის გამო, რომ არ ველოდით მსგავს შემოწმებას, ჩვენი გენერალური დირექტორი ნიკოლოზ რამიშვილი საქმიანი ვიზიტით იმყოფება ამერიკაში, მან შეწყვიტა ვიზიტი და საქართველოში ბრუნდება. ასევე საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოდიან ჩვენი კომპანიის აქციონერები“,** — განაცხადა ნათია კახეთელიძემ.

მისივე ინფორმაციით, ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს ექვემდებარებოდა, თუმცა არჩევნების შემდეგ იგი ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდა.

ამასთან, სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე აცხადებს, რომ კომპანია მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს და დაზღვეულებს ემსახურება.

კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ სახელმწიფო პროგრამითა და კორპორატიული დაზღვევის მქონე პირებს თბილისში, კახეთში და სენაკში ემსახურება. კომპანიაში სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულთა რიცხვი 360 000 შეადგენს.

***„ინტერპრესნიუსი“***

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# წლის ბოლოს პირველადი მოხმარების პროდუქტის გაძვირება გარდაუვალია?!

**„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე „ვერსიასთან“ საუბრისას სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ქვეყანაში შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპის კიდევ უფრო გაუარესებას ელის. ამასთან, კალანდაძე არც მთავრობის ეკონომიკური გუნდის კრიტიკას ერიდება და დაუფარავად აცხადებს, რომ წლის ბოლოს ეკონომიკური სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება, რაც საბიუჯეტო კრიზისში, ინფლაციური ფონის გაუარესებასა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების გაძვირებაში გამოიხატება. კალანდაძის თქმითვე, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში ბიზნესგარემო გაუარესდა — ბიზნესს მოლოდინი გაუცრუვდა, რადგან ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა. რა არის ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების რეალური მიზეზი, რატომ დგას ქვეყანა კრიზისის წინაშე და რას არ აღიარებს მთავრობის ეკონომიკური გუნდი? — „ვერსიას“ ლევან კალანდაძე ესაუბრება:**

— სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, რაც წლის დასაწყისში არსებულ გართულებულ მდგომარეობასთან შედარებით, კიდევ უფრო დამძიმდა. ეს სიმძიმე რამდენიმე კომპონენტით გამოვლინდა, პირველი — ხელისუფლებამ ეკონომიკური ვარდნის შეჩერება ვერ უზრუნველყო. მარტივად და გასაგებად რომ ავხსნათ, ქვეყანაში, გასულ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლები დოვლათი იქმნება. მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი ისაა, რომ დამატებითი ღირებულების გადამხდელი (დღგ) საწარმოების ბრუნვაც შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსხვილი და საშუალო საწარმოები გაცილებით ნაკლებ პროდუქციას აწარმოებენ. შესაბამისად, ბიზნესი, გარკვეულწილად, პასიურ მდგომარეობაშია გადასული და, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, განვითარებას ვეღარ ახერხებს. მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არარსებობაა. არადა, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ქვეყანაში, როგორც სოციალური სტაბილურობა, ასევე — სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უნდა უზრუნველყოს. ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკაში რეგრესული უკუსვლა ვერ შეაჩერა, მაგრამ ყველაზე დიდი ნეგატივი ისაა, რომ ამ პროცესის შესაჩერებლად არაფერი გააკეთა. როდესაც მთავრობას მოვუწოდებდით, რომ შესამუშავებელია ანტიკრიზისული გეგმა, რის საფუძველზეც გაუარესებული მაკროეკონომიკური პარამეტრების კორექტირება უნდა განხორციელებულიყო, მისი რეაქცია არაადეკვატური იყო, ანტიკრიზისულ გეგმას კრიზისის დადგომისთანავე შევიმუშავებო. უკაცრავად, მაგრამ, როდესაც კრიზისი დგება, მას უკვე გეგმა აღარ შველის.

**— ბატონო ლევან, რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას ან როგორ უნდა შეეჩერებინა ეს პროცესი, გამოსავალი მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება იყო?**

— არა. ანტიკრიზისული გეგმა მხოლოდ ფურცელზე ჩამოწერილი დებულებები არაა, ეს არის კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის განხორციელება ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას იწვევს — ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას ბიუჯეტში და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების სისტემის შექმნასაც უზრუნველყოფს. გეგმას ხელისუფლების მოქმედებაც უნდა ახლდეს, რაც ბიზნესზე ორიენტირებულობაში გამოიხატება. არაერთხელ გვითქვამს, სახელმწიფომ, მთავრობამ რომ კარგად იმუშაოს, სრულფასოვანი საბიუჯეტო პოლიტიკა გვჭირდება, რაც ბიუჯეტში შემოსავლების ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების გასტუმრებას გულისხმობს. დღეს სახელმწიფო ბიუჯეტში



ლევან კალანდაძე პრემიერს ბიზნესზე ზეწოლაში ადანაშაულებს

შემოსავლები მნიშვნელოვნად მცირდება, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ წლის ბოლოსთვის საბიუჯეტო კრიზისის წინაშე აღმოვჩნდებით და საბიუჯეტო ვალდებულებების გასტუმრებას ვერ შევძლებთ. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ვალდებულებებს გაისტუმრებენ, მაგრამ ეს ეშმაკობაა, რადგან ძირითადი საბიუჯეტო ვალდებულება მხოლოდ სოციალური შემწეობები, ჯანდაცვის ხარჯების გასტუმრება და პენსიები კი არა, კაპიტალური და ინფრასტრუქტურული ხარჯების გასტუმრებაცაა. ფინანსთა სამინისტრო ცდილობს, ისეთი ილუზია შექმნას, რომ პენსიების, ხელფასებისა და სოციალური ხარჯების ნაწილში პრობლემები არ იქნება, მაგრამ თუ ფინანსთა სამინისტრო სხვა ვალდებულებებსაც არ გაისტუმრებს, ზოგადად, ფისკალური და მონეტარული თვალსაზრისით, ქვეყანაში პრობლემა შეიქმნება, რის გამოც ეროვნულ ბანკს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომელსაც ეროვნული ვალუტის კურსის დაჭერა ძალიან გაუჭირდება.

**— ეროვნულ ბანკს ისედაც მძიმე პერიოდი უდგას, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში, აგვისტოს ბოლოს ინფლაციის დონე მატულობს და სექტემბერში ინფლაცია ისედაც გარდაუვალია. წელს კი, ამ პროცესს ისიც დაემატა, რომ დიდი წვიმების შედეგად, მოსავალი განადგურდა, ამიტომ შემოდგომაზე პროდუქტი გაძვირდება. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ პროცესის დასარეგულირებლად?**

— ქვეყანაში ისეთი ვითარება შეიქმნა, როდესაც ყველა ცდილობს, პასუხისმგებლობას გაექცეს. პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტრო, რომელიც არ აღიარებს, რომ წინაკრიზისული ვითარება, რაც შესაძლოა, საბიუჯეტო კრიზისში გამოიხატოს, მომავალ წელს კი ეკონომიკურ კრიზისშიც გადაიზარდოს, არ აღიარებს, რომ შემოსავლები შემცირდა და, სრულიად შესაძლებელია, სერიოზული პრობლემები შეექმნას ქვეყნის ეკონომიკას. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროს რეალურად მოუწევს სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება, მაგრამ ამ პროცესს იურიდიული კაზუისტიკაც ახლავს — ფინანსთა სამინისტროს აგვისტოში უნდა მოესწრო ბიუჯეტის კორექტირება, სექტემბერში 2013 წლის ბიუჯეტის კორექტირებას ვეღარ მოახერხებს. ამ თვალსაზრისით, ბიუჯეტის გარღვევის ანუ დეფიციტური ბიუჯეტის პრობლემის წინაშე ვდგებით. ხელისუფლებასთან ასოცირებულმა გარკვეულმა ძალებმა კი ეშმაკობა იხმარეს, რადგან ეროვნული ბანკის წინააღმდეგ სერიოზული კამპანია დაიწყეს და ფინანსთა სამინისტროც სწორედ მათთან ერთად ცდილობს, მოსალოდნელი პრობლემების შედეგებზე პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს აჰკიდონ, ხელები კი გიორგი ქადაგიძეზე შეიწმინდონ. ის, რაც წლის ბოლოსთვისაა მოსალოდნელი, იგივე ინფლაციური პროცესის გართულება, ფასების ზრდა და საგადასახადო შემოსავლების შემცირებით გამოწვეული კრიზისი, მარტივად, ეროვნულ ბანკს უნდა შეაწმინდონ. ლოგიკა გასაგებია — ეს იმიტომ ხდება, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მათ კონტროლს არ ექვემდებარება. პირდაპირ ვთქვათ, გიორგი ქადაგიძე „მეოცნებე“ ეკონომისტი და მათი გუნდის წევრი არ არის. ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის ეკონომიკური გუნდისთვის კარგად გაყიდვადი თემა ის იქნება, რომ გიორგი ქადაგიძემ და ეროვნულმა ბანკმა ქვეყანაში თითქოს ეკონომიკური კრიზისი შექმნეს. სინამდვილეში, ასე არაა და ყველაფერზე, რაც ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლებსა და გარკვეულ ეკონომიკურ იდეოლოგიას უკავშირდება, პასუხს მთავრობის ეკონომიკური გუნდი და პრემიერ-მინისტრი აგებს.

**— როგორ გგონიათ, რა არ გააკეთეს მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებმა?**

— პირველი ის, რომ ბიუჯეტი არასწორად, საკმაოდ მძიმე ვალდებულებების პირობებში დაგეგმეს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ასეთი დამძიმებული სოციალური ვალდებულებების ბიუჯეტი დაეგეგმათ ანუ საბიუჯეტო პოლიტიკა თავიდანვე არასწორი იყო. მეორე — ის ნაბიჯები, რაც არ განხორციელდა ბიზნესთან მიმართებაში. ბიზნესისთვის გაურკვეველია, როგორ ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა და, შესაბამისად, მისი საქმიანობა განვითარებაზე ორიენტირებული არ არის.

**— ბიზნესთან მიმართებაში რა ნაბიჯები უნდა გადაედგა ხელისუფლებას?**

— პოლიტიკის ბიზნესზე ორიენტირებულობა იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის პოლიტიკა ბიზნესისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზეა აწყობილი. პირველ ეტაპზე თითქოს გამოიკვეთა, რომ ბიზნესი ხელისუფლების კონტროლისგან თავისუფალია, მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებული სურათია — მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ბიზნესის გარკვეული სფეროები ხელისუფლების ექსკლუზივია. მაგალითად, სარკინიგზო გადაზიდვები, ფოსტისა და დაზღვევის ბაზარი, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს და რაც ძალიან საშიში ტენდენციაა. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის ინიცირებული ფონდების შექმნით ისეთი სიტუაციაა მივიღეთ, რომ მსხვილი ბიზნესი, რომელიც ამ ფონდებთან არ ითანამშრომლებს და გარკვეული საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებაში მონაწილეობას არ მიიღებს, რეალურად, დაჩაგრულ სიტუაციაში აღმოჩნდება. შესაბამისად, ბიზნესის მოლოდინი ნეგატიურია, რადგან არ იცის, რა ელის და ამიტომ განვითარებაზე ორიენტირებული არ არის, რაც საბიუჯეტო შემოსავლების სიმცირეს იწვევს. ზოგადად, გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგნოზირებადი და სტაბილური ბიზნესგარემოს შეგრძნება ბიზნესს აღარ აქვს. მითხარით, სად არის ყბადაღებული ანტიმონოპოლიური რეგულირება, რომელსაც ხელისუფლება გვპირდებოდა? სად არის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამები ანუ ის, რამაც უნდა შექმნას დოვლათი და სამუშაო ადგილები?

**— ამბობთ, რომ უცხოური ინვესტიციები არ ჩანს, მაგრამ მთავრობის ფონდებში არსებული თანადაფინანსების სისტემა საკმარისი მოტივაცია არაა ინვესტორებისთვის, რომ ინვესტიციები ჩადონ?**

— ეს თანადაფინანსება კი არა, წილში ჩაჯდომის სისტემაა! პირდაპირ ვთქვათ, ამ ფონდებში მონაწილეობის მთავარი ხიბლი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია და მეტი არაფერი. ფონდების თანადაფინანსებით შექმნილი კომპანია მოგებაზე ორიენტირებული ჩვეულებრივი კომპანიაა, რომელიც სხვა კომპანიებისგან იმით განსხვავდება, რომ მეტი საინვესტიციო რესურსი ექნება. ეს არის პრემიერ-მინისტრის მცდელობა, ყველა მსხვილი საწარმო და მთლიანად ბიზნესი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს. ფონდებით შექმნილი კომპანიები, შესაძლოა, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ბარიერადაც კი იქცნენ. ნუ შევიქმნით ილუზიას, რომ ამ ფონდების შექმნით, ქვეყნის ეკონომიკა აღორძინდება.

**— მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებს კრიტიკული შენიშვნების მოსმენა არ სიამოვნებთ...**

— ძალიან მაინტერესებს, როგორი რეაქცია ექნებოდა ნოდარ ხადურს, გიორგი კვირიკაშვილს ან დავით ნარმანიას, ახლა რომ ოპოზიციაში იყვნენ და ქვეყანაში იგივე ეკონომიკური მდგომარეობა იყოს? დარწმუნებული ვარ, მათი ტონი განსხვავებული და შეფასებებიც სრულიად ადეკვატური იქნებოდა. მეჩვენება, რომ ისინი იმ პოლიტიკური სიტუაციის მძევლები არიან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა. ერთი მხრივ, არ აქვთ უნარი, გამოვიდნენ და აღიარონ ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები, მეორე მხრივ — თანამდებობების დაკარგვის ეშინიათ, რადგან ამ ვითარებაზე პასუხისმგებელი მთავრობის ეკონომიკური გუნდია. ძალიან კარგად ვიცი, სამივე მინისტრის გონებრივი შესაძლებლობები და ეჭვი არ მეპარება, რომ პოლიტიკისგან თავისუფალ გარემოში, სრულიად განსხვავებულ შეფასებებს გააკეთებდნენ.

## ვერსიანიუსი

### ე.წ. სამხრეთ ოსეთი „სახელმწიფო დამოუკიდებლობის“ აღსანიშნავად ემზადება



სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმი რუსეთის მიერ მისი ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საზეიმოდ აღნიშვნას აპირებს.

სააგენტო „ოსინფორმის“ ინფორმაციით, სადღესასწაულო ღონისძიებები 24 აგვისტოს დაიწყება და 3 დღე გაგრძელდება. ამ დღეს „სამხრეთოსეთელი“ და რუსი ალპინისტები სამხრეთ ოსეთის უმაღლეს მწვერვალს დალაშქრავენ, რომელიც ზღვის დონიდან 3 938 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამავე დღეს გაიხსნება მხატვარ ფელიქს გაბარაევის პერსონალური გამოფენა. 25 აგვისტოს ცხინვალში გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს აგვისტოს აგრესია და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარება“. 26 აგვისტოს, ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების დღეს, საზოგადოების წარმომადგენლები ღირსშესანიშნავ ადგილებს გვირგვინებით შეამკობენ. ამავე დღეს ცხინვალის რაიონში გაიმართება ეთნოგრაფიული დღესასწაული „წინაპართა კვალი“ და ჩატარდება თეატრალიზებული სანახაობა სახელწოდებით: „მადლობა, რუსეთო!“ ღონისძიებები საზეიმო ფოიერვერკით დასრულდება.

### „ბარამბოდან“ ვადაგასული არომატიზატორი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გეგმური ინსპექტირებისას კომპანია „ბარამბოს“ საწყობიდან ამოიღეს 25-ლიტრიანი 48 კასრი დანიური წარმოების არომატიზატორი (საკვებდანამატი), რომელიც ფართოდ გამოიყენება ნაყინის წარმოებაში. როგორც სააგენტოში აცხადებენ, აღნიშნული პროდუქცია ვადაგასული იყო - ვარგისიანობის ვადა 2011 წელს ამოეწურა და, კანონმდებლობის შესაბამისად, განადგურებას ექვემდებარება. სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა ამოღებული პროდუქცია დალუქეს და უახლოეს დღეებში გაანადგურებენ. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები განაგრძობენ გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

*„მედიანიუსი“*



# ვახტანგ თალაკვაძე: „დიპლომატსა და ყოფილ სამართალდამცავ ჩხიტუნიძეს გირგვლიანის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს“



ეკა სეხნიაშვილი

**პროკურატურის წინააღმდეგ მორიგი სკანდალი გორდება. ამჯერად საქმე გირგვლიანის გახმაურებულ მკვლელობას ეხება. საქმეში მოულოდნელად ამოტივტივებული იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის დავით ჩხიტუნიძის ადვოკატები კბილაშვილის უწყებას საქმის გაყალბებასა და ხელოვნურად „შეკერვაში“ ამხელენ. „ვერსიასთან“ საუბარში ადვოკატები ვახტანგ თალაკვაძე და დალი იმნაიშვილი აცხადებენ, რომ პროკურატურა ცდილობს, ხელოვნურად დაუკავშიროს და მიაბას ჩხიტუნიძე გირგვლიანის საქმეს.**
**ვრცელდება ინფორმაციაც, რომ საბერძნეთში 30 კრიმინალის მიერ სასტიკად ნაცემი დავით ჩხიტუნიძის ლიკვიდაცია იგეგმებოდა.**
**ვის და რატომ სჭირდებოდა ჩხიტუნიძის საბერძნეთის ციხეში მოხვედრა, გირგვლიანის საქმეში მისი მიკერება და რატომ დააკავებინა პროკურატურამ დიპლომატიური პირი ადამიანების წამების მუხლით. „ვერსია“ საქმის გაუხმაურებელი დეტალების ირგვლივ საბერძნეთში დაკავებული ჩხიტუნიძის ადვოკატებს ესაუბრა:**

**ვახტანგ თალაკვაძე და დალი იმნაიშვილი — ადვოკატები** : „ფაქტია, რომ პროკურატურის მიერ დავით ჩხიტუნიძის მიმართ მიზანმიმართული დევნა ხორციელდება და წაყენებული ბრალდებებიც ხელოვნურადაა აგორებული. მეტსაც გეტყვით, პროკურატურამ შეგნებულად გადაგზავნა საბერძნეთის სამართალდამცავ სტრუქტურებში ჩხიტუნიძის ექსტრადიციის მიზნით დოკუმენტი, თითქოსდა ჩხიტუნიძეს ადამიანის წამების მუხლით ჰქონდა ბრალი წარდგენილი.

**მინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არანაირი სამართლებრივი ან იურიდიული კავშირი ჩხიტუნიძეს გირგვლიანის გახმაურებულ მკვლელობასთან არ აქვს. მასზე შეგნებულად ვრცელდება ბინძური და ცრუ ინფორმაციები, რაც ეჭვს გვიჩენს, რომ გამოძიების მხრიდან მიდის მიზანმიმართული მცდელობა, დავით ჩხიტუნიძეს შეუქმნან განსაკუთრებით საშიში დამნაშავის იმიჯი.**

პროკურატურა რომ ტენდენციურია, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: პროკურატურამ ჩხიტუნიძის მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებით და ინფორმაცია გაუგზავნა შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრს 2013 წლის 1 ივლისს. აღნიშნული მუხლები ითვალისწინებს წამებას, რაშიც ჩხიტუნიძის დადანაშაულება გამორიცხული იყო, ელემენტარულად, თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ გირგვლიანის მკვლელობის დროს დავით ჩხიტუნიძე, დადასტურებული და უტყუარი მტკიცებულებებით, სასწავლებლად იმყოფებოდა გერმანიაში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპულ ცენტრში. ამ გამყარებული ფაქტების გამო პროკურატურას, როგორც ჩანს, გაუჭირდა საქმის შეკერვა და მისი წამებაში დადანაშაულება და ამიტომაც ჩხიტუნიძეს ბრალი შეუცვალეს 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ითვალისწინებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. ამის მიუხედავად, პროკურატურამ, როგორც ჩანს, საბერძნეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს შეგნებულად გადაუგზავნა დოკუმენტი, რომ თითქოსდა ჩხიტუნიძეს ბრალი ჰქონდა წაყენებული 144-ე — წამების მუხლით, რაც სრული აბსურდია. პროკურატურის შეგნებულ დაინტერესებაზე, ჩხიტუნიძე რამენაირად გირგვლიანის საქმეს მიაკეროს, მოწმობს კიდევ ერთი ფაქტი: აღნიშნულ საქმეზე პროკურატურამ დაკითხა მამა ნიკოლოზი (იგივე თემურ ტაბაღუა), რომელმაც შეცვალა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და აღიარა, რომ გამოძიების მსვლელობისას მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ბრალდების ეს ნაწილი ჩხიტუნიძის მიმართ დაუსაბუთებელია. წარმოიდგინეთ, რამდენიმეტომიან საქმეზე, სადაც პროკურატურას დაკითხული ჰყავს ასზე მეტი ადამიანი, მხოლოდ 4 მოწმეა, რომელიც მხოლოდ სახეზე იცნობს დავით ჩხიტუნიძეს და ისიც იმიტომ, რომ იყვნენ ციხის თანამშრომლები. გასაგებია, რომ პროკურატურა ცდილობს, ყველა საშუალებით ამოატივტივოს სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები გირგვლიანის საქმის ირგვლივ, თუნდაც ბინძური გზით, მაგრამ ჩხიტუნიძეს ამ საქმესთან შეხება არ აქვს და მისი მიკერება მთავარი პროკურატურის მხრიდან ძალიან ბინძური თამაშია, არაპროფესიონალიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**— რა მოხდა საბერძნეთში რეალურად და ვინ სცემა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი?**

— გვაქვს ეჭვი, რომ ესეც სპეციალურად იყო გათვლილი და გამიზნული, რომ დათო მოეთავსებინათ სწორედ იმ საკანში, ათენში, სადაც 80-მდე ქართველი კრიმინალი ზის. გამომძიებელს რომ გვერდით მიუსვამ კრიმინალს, ეს არც ერთ კანონში არ ჯდება, არც მორალურსა და არც სამართლებრივში. ამას გარდა, სამართალდამცავი სტრუქტურები ცრუ ინფორმაციას შეგნებულად ავრცელებენ, თითქოსდა იგი „წითელი ცირკულარით“ ძებნის მოტივით დააკავეს ათენის აეროპორტის სასაზღვრო პუნქტში, თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრების მომენტში. არადა, სინამდვილეში, დავით ჩხიტუნიძე აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას და საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, რის შესახებაც, 2013 წლის 13 აგვისტოს, განცხადებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ გაირკვეოდა სიმართლე, ეს ყველაფერი პროკურატურამ იცოდა და გვიჩნდება ეჭვები, რომ თავად პროკურატურაში, გირგვლიანის საქმეზე ვიღაცას არ აწყობს სიმართლის გარკვევა..

**— ალბათ, პროკურატურის მაღალჩინოსნებზეა საუბარი..**

— არ ვიცი, ვისი დავალებაა ეს, თუმცა ფაქტია, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უნდოდა პროკურატურაში ჩვენების მიცემა და სიმართლის გარკვევა. მან ათენის აეროპორტში სასაზღვრო პუნქტზე წარადგინა პირადი დიპლომატიური პასპორტი ისე, რომ არ იცოდა ამ პასპორტის გაუქმების შესახებ.

**როცა დიპლომატ კაცს ასეთ საშინელებას უწყობ, შეგნებულად აჭიანურებ მის ექსტრადიციას, გვერდით უსვამ კრიმინალებს სასჯელაღსრულების ყოფილ მაღალჩინოსანს, ასევე 19-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დიპლომატს, რომელსაც მერე სასიკვდილოდ სცემენ, გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროკურატურას სხვა ინტერესები აქვს. ჩვენ მოვითხოვთ, კანონის შესაბამისად, ცალკე წარმოებად გამოიყოს დავით ჩხიტუნიძის ბრალდების საქმე, შეწყდეს პროვოკაცია და ცრუ ინფორმაციების გავრცელება დავით ჩხიტუნიძის — ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერისა და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის მამის მიმართ. უნდა ითქვას, რომ ამ ცრუ ინფორმაციების გავლენით ოჯახი დიდი დარტყმის ქვეშ იმყოფება.**

**— პროკურატურა აცხადებს, რომ ჩხიტუნიძემ უფლებამოსილებას გადაამეტა, როცა გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს ციხეში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდა.**

— სწორედ ამ სიმართლის გასარკვევად აპირებდა ჩხიტუნიძე საქართველოში ჩამოსვლას. თუ ასეა, თუ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, მართლაც ასე იქცეოდა, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს და თუ დაუმტკიცდება მას ეს დანაშაული, შესაბამისად, კანონის ძალით მოსთხოვოს პასუხი. თუმცა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არანაირი უფლებამოსილება არ ჰქონდა, ვინმე გაეშვა საკნიდან, თუნდაც რამდენიმე დღით, თუ არ იქნებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილობითი თანხმობა განსაკუთრებულ შემთხვევებში (როცა ადამიანს გარდაეცვლებოდა ახლობელი).

იგივე ალანიაზე როცა საუბრობენ, თუ ასეთი შემთხვევა, მისი რამდენიმე დღით ციხიდან გაშვების იყო, ეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილობით მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა და არა ჩხიტუნიძის პირად სურვილზე.

მაგრამ მანამდე რა უფლება აქვს ვინმეს, რა ჩინისა და რანგისაც უნდა იყოს, დაუსაბუთებლად მიაკეროს ადამიანის წამების იარლიყი. უშვებს დოკუმენტაციას, თითქოსდა გირგვლიანის წამებაში აქვს მას მონაწილეობა მიღებული და ამ მესიჯს უშვებ საბერძნეთში, ციხეში მყოფ ქართველ კრიმინალებთან, რის გამოც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფიზიკურად უსწორდებიან მას, ეს არაა დანაშაული გამოძიების მხრიდან?!

**ახლაც, ინტერვიუს რომ გაძლევთ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უმძიმეს მდგომარეობაში წევს საბერძნეთის ერთ-ერთ კლინიკაში. იმდენად მძიმედაა, რომ ის ციხის საავადმყოფოდან გადაიყვანეს და მას ელემენტარულად, დიპლომატიურ პირებთან საუბარიც კი არ შეუძლია.**



## ვერსიანიუსი

## სასწრაფოს მძღოლები გაფიცვით იმუქრებიან



საქართველოს პროფკავშირების ლიდერები, თბილისის სასწრაფო დახმარების ავტომანქანების მძღოლებს შეხვდნენ. სასწრაფოს მძღოლები თბილისის მერიის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი სამსახურის — 112-ის ხელმძღვანელობას მათი უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ.

როგორც მძღოლები აცხადებენ, ბოლო პერიოდში მათი ხელფასების კლებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. ამას გარდა, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ხელმძღვანელობის მხრიდან მძღოლების უსამართლოდ და ალოგიკურად დაჯარიმების შემთხვევებიც. სასწრაფო დახმარების მძღოლები ასევე, არასწორად დაგეგმილ და ხელოვნურად გაზრდილ სამუშაო საათებსაც აპროტესტებენ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ, ირაკლი პეტრიაშვილმა და ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, ლავრენტი ალანიამ მძღოლებს საკუთარი უფლებები მოკლედ გააცნეს და განუმარტეს, რომ მათ მიერ დაყენებული საკითხების მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ თანადგომითა და ურთიერთსოლიდარობით შეიძლება მოგვარდეს.

**„მხოლოდ ერთი ადამიანი ვერაფერს იზამს. საჭიროა, გაერთიანდეთ და ერთად მოითხოვოთ ყველა ის უფლება, რაც კანონით ისედაც გაქვთ. არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ დამსაქმებელი კეთილი ნებით მოინდომებს თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით მანამ, სანამ თქვენ იქნებით ერთიანი და გაუტეხელნი“,** — განაცხადა ირაკლი პეტრიაშვილმა მძღოლებთან შეხვედრაზე, რომლებიც საკუთარი პროფკავშირის ჩამოყალიბებას უახლოეს მომავალში გეგმავენ.

დღეს, 23 აგვისტოს მძღოლები გლდანში მდებარე 112-ის ცენტრალურ ოფისთან აქციას მოაწყობენ, სადაც დამსაქმებლებს უშუალოდ გააცნობენ პუნქტობრივად ჩამოწერილ მოთხოვნებს. თუკი მათი მოთხოვნები არ შესრულდება, მძღოლები ფართომასშტაბიანი გაფიცვით იმუქრებიან.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „მეორედ მოსვლა“ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან



**ყოფილი პატიმრები მიშას სწყევლიან, თან ნასამართლეობის მოხსნას სთხოვენ!**

რუსუდან შელია
557-100-768

**მას შემდეგ, რაც ნასამართლეობის მოხსნის შესახებ პრეზიდენტის განკარგულება გამოიცა, მეტროსადგურ „ავლაბრიდან“ პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალ ვიწრო გზას ავუყევი — მსურველთა რაოდენობამ და განცხადების ჩაბარების პროცედურამ დამაინტერესა. ადგილზე ნანახმა, როგორც იტყვიან, მოლოდინს გადააჭარბა — ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები, ხანშიშესული მამაკაცები და ქალბატონები ადმინისტრაციის შენობის წინ საგანგებოდ გაშლილ კარავში რიგს საათობით ელოდებიან.**

— რატომ მიდის ეს კაცი ურიგოდ, ჩვენ აქ ტყუილად ვდგავართ? — ატყდა ჩოჩქოლი, როცა ორმოც წლამდე მამაკაცმა გისოსებით შემოღობილ ბილიკში რიგში ჩამდგარ ადამიანებს თავი აარიდა და ურიგოდ შესასვლელად დაცვასთან მოლაპარაკება დაიწყო.

— ვერ გაგატარებთ... რიგში ჩადექით... თუ არ წახვალთ, საპატრულო ეკიპაჟს გამოვიძახებთ... — დაცვის თანამშრომლის მუქარამ გაჭრა, უცნობმა მამაკაცმა ხელი ჩაიქნია და ხალხის ტალღაში გაუჩინარდა.

— ნორმალურია ახლა ეს? — შეაწუხა მამაკაცის უზნეობამ რიგში მდგომი შუახნის სიმპათიური ქალბატონი.

— ამ ქვეყანაში ნორმალური ვინ გეგულება, ქალბატონო? — იკითხა ვიღაცამ მკვახედ. ცოცხალმა რიგმა გადაიხარხარა...

— თქვენ რომელი მუხლით გაგასამართლეს? — ბოდიშის მოხდით ვეკითხები მამაკაცის უზნეობით შეწუხებულ ქალბატონს.

— თაღლითობა დამაბრალეს. დამღუპა ქვეყნის დამაქცევარმა სააკაშვილმა...

— „დამაქცევართან“ ახლა რაღამ მოგიყვანათ? — ისევ ბოდიშის მოხდით ვეკითხები.

— დაიქცა მისი ოჯახი, დღემდე დაქცეული რომ ვარ, მაგიტომაც მოვედი. პროფესიონალი და პატიოსანი ადვოკატი ვიყავი, იმდენი საქმე მქონდა, დღე და ღამე ვმუშაობდი. ერთ დღესაც მითხრეს, თაღლითი ხარ და ადვოკატი აიყვანეო... 550 ათასი გადამახდევინეს და ოთხი წელი პირობითი მომისაჯეს.

— სად იშოვეთ, ქალბატონო, პატიოსანმა ადვოკატმა ამდენი ფული?! — ჩაიქირქილა ახალგაზრდა მამაკაცმა, მაგრამ შეწუხებულმა ქალბატონმა ისეთი მზერით შეხედა, მიხვდა, შეცდომა დაუშვა და დადუმდა.

— ოთხი წელი „კოლმეურნეობის მოედანზე“, პრობაციის ბიუროში მატარეს. „სროკი“ ბოლომდე მოვიხადე, მაგრამ ნასამართლევი არც ერთ სამსახურში არ მიმიღეს. 20 წელი ადვოკატი ვიყავი და ახლა დამლაგებლად ვერ ვიმუშავებ, რა ვქნა? — აიჩეჩა მხრები და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, თუმცა ამასობაში, ადმინისტრაციის თანამშრომელმა გოგონამ დაიძახა, შემდეგიო და თაღლითობისთვის გასამართლებული ქალბატონიც პრეზიდენტის სახელზე შევსებული განცხადებით სარეგისტრაციო კარავში შევიდა. ვცადე, შევყოლოდი და პროცედურების დეტალები გამეგო, მაგრამ დაცვამ გამაჩერა:

— ნასამართლევი ხარ?

— არა, ჟურნალისტი...

„ჟურნალისტის“ გაგონებაზე კარავთან მდგომმა გოგონამ მოშორებით მდგომ გოგონას გადასძახა, რომელიც მომიახლოვდა და პროცედურის დეტალებში თავაზიანად გამარკვია:

— პირველივე დღეს 1200 განცხადება მივიღეთ, დღეს კი, მხოლოდ ერთ საათში, ორასი განცხადება შემოვიდა. ნასამართლეობის მოხსნის მსურველებს სპეციალური ბლანკი ურიგდებათ, სადაც უნდა ჩაწერონ, რა მუხლი ჰქონდათ მისჯილი და რამდენი წელი მოიხადეს ციხეში. მსურველი ძალიან ბევრია, თუმცა პრეზიდენტი ნასამართლეობას ყველას, ბუნებრივია, არ მოუხსნის.

— პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სასჯელმოხდილები რამდენ ხანში შეიტყობენ?

— ყველა განცხადებას სპეციალური კომისია შეისწავლის, რომელიც ეტაპობრივად, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მსუბუქი დანაშაულისთვის გასამართლებულებს ნასამართლევის სტატუსს მოუხსნის. მკვლელობისთვის, გაუპატიურებისა და სხვა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების განცხადებებს კომისია არ განიხილავს. პრობაციონერების შემთხვევაშიც იგივე პრინციპი მოქმედებს. ყველა გავაფრთხილეთ, სანამ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან ამნისტიის შესახებ პასუხს არ მიიღებენ, პრობაციის ბიუროში დათქმულ დროს, ჩვეულებისამებრ, უნდა მივიდნენ. მათ პასუხს პრობაციის ბიუროს ოფიცერი შეატყობინებთ.

ადმინისტრაციის თანამშრომელს, რომელმაც ინფორმაცია ისე მომაწოდა, რომ ვინაობა არ გამიმხილა, დავემშვიდობე და გზის მოპირდაპირე მხარეს გადავედი, სადაც მანქანასთან შეკრებილი ადამიანები შევნიშნე.

— ახლა მე ჩავწერ... კალამი მომაწოდეთ... 1226-ე... ოთარ ქარცივაძე...

— მომაწოდე კალამი... 1227-ე... ქეთინო შოთაშვილი... — როგორც გავარკვიე, პრობაციონერები თაბახის ფურცელზე სიას ცალკე, რიგში ჩადგომის გარეშე ავსებდნენ.

— ძმაო, ასე საღამომდე ვერ შევავსებთ. გაიწიე ერთი, რა — ყვიროდა და თან ხელებს იქნევდა თავგადაპარსული, შავებში ჩაცმული ახალგაზრდა, რომელსაც სახეზე ნაიარევი ჰქონდა და ხავერდის წითელი ფეხსაცმელი ეცვა. ჭაღარა მამაკაცმა, რომელსაც სიაში საკუთარი სახელის ჩასაწერად კალამი მიაწოდეს, ახალგაზრდისთვის შენიშვნის მიცემა სცადა, მაგრამ ნაიარევიანმა დაასწრო: — ძმაო, ერთი დადგეს და ჩვენ სახელები ვუკარნახოთ, არ გესმის, ძმაო?!

— ტროტუარზე გადადი, — შენიშვნა მისცეს ნაიარევიანს სახელმწიფო დაცვის მანქანამ, რომელიც რეზიდენციასთან ორ წუთში ერთხელ ჩნდებოდა. ისიც ბუზღუნით ჯგუფს გაეცალა და შორიახლოს მდგომ დანარჩენ შავსათვალიან ახალგაზრდებს შეუერთდა.

სად იყო და სად არა, სახალხო დამცველის ყოფილ მოადგილესა და „ქართული პარტიის“ ყოფილ წევრს, სოზარ სუბარის მეგობარ სოფო ხორგუანს მოვკარი თვალი, რომელიც გზას მიიკვლევდა.

— ქალბატონო სოფო, თქვენ? აქ? — ვკითხე ხუმრობით. ხორგუანმა დაბნეულმა შემომხედა და, ასევე, დაბნეულად მიპასუხა:

— არა, განცხადება კი არ დავწერე, სხვა საქმეზე ვიყავი... — და გზა ისე სწრაფად განაგრძო, ველარ ჩავეკითხე, რა საქმე ჰქონდა პრეზიდენტის რეზიდენციაში.

პრეზიდენტის რეზიდენციასთან ნასამართლეობის მოხსნის მსურველთა ნაკადი კი არ წყდებოდა. რიგში მდგომი, მზისგან გათანგული ადამიანები პრეზიდენტის სახელზე დაწერილ განცხადებებს „მარაოდ“ იყენებდნენ და გრილდებოდნენ. ზოგიც გზის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილში მჯდომი აკვირდებოდა პროცესს.

...ნახევრადმორყეულ ჭიშკართან მოხუცი მამაკაცი იდგა და რეზიდენციამდე მიმავალ ადამიანებს თვალს თავის ქნევით ადევნებდა.

— მთელი საქართველო ციხეში იჯდა? რამდენი ხალხია, კაცო? – ხმამაღლა ამოიოხრა და ორ ახალგაზრდა გოგონას თვალი კვლავ თავის ქნევით გააყოლა...



## შსს-მ ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ბექა ვ. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები: „ბუპრენორფინის“ აბის ნაფხვენი და 50 აბი „ტრამადოლი“. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბექა ვ-მ ნარკოტიკები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გერმანიიდან ჩამოიტანა.

ნარკოლოგიური შემოწმებით, ბრალდებულს „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე — სსსკ-ს 262-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

*„პირველი“*

PATTON BOGGS LLP

## მთავრობამ ლობისტურ კომპანია Patton Boggs-თან კონტრაქტი წლის ბოლომდე გააგრძელა

საქართველოს მთავრობამ ლობისტურ და იურიდიულ კომპანია Patton Boggs-თან კონტრაქტი წლის ბოლომდე გააგრძელა და კონტრაქტს ახალი პუნქტიც დაემატა, რომელიც მედია კონსულტანტის დაქირავებას ეხება.

განახლებული დოკუმენტით კომპანია ყოველთვიურად გაზრდილ ანაზღაურებას, 110 000 აშშ დოლარს მიიღებს.

Patton Boggs საქართველოს მთავრობას ეხმარება ნატო-ს მისწრაფების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასევე, აშშ-ის მთავრობასა და კონგრესთან ურთიერთობაში, შესაბამისი ღონისძიებებისა და შეხვედრების მოწყობასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ აშშ-ს ინფორმირებაში.

**„კონტრაქტს მედიაკომპონენტი დაემატა. აქ საუბარია ასევე საქართველოს ინტერესებისთვის, საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო მკაფიო და ინტენსიური ინფორმაციის გატანა-მიწოდებაზე ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის ან მათთვის, ვინც უნდა იყოს დაინტერესებული აშშ-ში და, ჯერჯერობით, არ არის ჩართული საქართველოს საკითხებში“,** — განაცხადა მთავრობის კანცელარიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველმა დავით მაღრაძემ.

Patton Boggs 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა დაიქირავა. კომპანია მაშინ კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული.

*„პირველი“*

## ბიძინა ივანიშვილს მილიონად შეფასებული ნახატის შეძენა სურს

ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი მხატვარი რომან კრიხელი უახლოეს ხანებში გასაყიდად გამოიტანს თავის მორიგ ნამუშევარს — „მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი ქალი“, რომლის შეძენის მსურველთა შორის არის ბიძინა ივანიშვილიც. ამის შესახებ New York Post იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ქართველი მხატვარი, რომლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა შორის უამრავი ცნობილი ადამიანია, მათ შორის, მომღერალი ლენი კრავიტსი, ამ დრომდე არ ამხელს ტილოზე გამოხატული ქალბატონის ვინაობას.

როგორც New York Post-ს ხელოვნებათმცოდნე მალკოლმ ჰარისმა განუცხადა, გავრცელებული ინფორმაციით, რომან კრიხელის ნამუშევარი, შესაძლოა, 1 მილიონ დოლარად გაიყიდოს. მისი შეძენის მსურველთა შორის კი სახელდებიან „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი, YouTube-ის თანადამაარსებელი ჩად ჰარლი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული არტკოლექციის მფლობელია.

ქართველი ფერმწერი რომან კრიხელი 30 წელზე მეტია, ნიუ იორკში საქმიანობს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე გაყოყოჩდა?!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე გაყოყოჩდა. ჯერ „აქეთ გორას“ ჰკრა ფეხი და, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ფალავანდიშვილი, ერთპიროვნულად, როგორც ირკვევა, უკანონოდ გაათავისუფლა და შემდეგ, მის ადგილას, მურმან ყურაშვილი ისე მოიყვანა, საკრებულოს წევრებისთვის არაფერი უკითხავს. ყურაშვილმა — არც აცია, არც აცხელა და, ბრძანების საფუძველზე, ფალავანდიშვილის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გაათავისუფლა. თანამდებობის პირთა დათხოვნის მიზეზად სამსახურეობრივი მოვალეობის ვერშესრულება სახელდება. სხვა მიზეზებს კი, თუ აინტერესებთ, სასამართლოში მოვახსენებთო, — ამბობენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები(?!). განხეთქილება ბოლნისის საკრებულოსა და გამგეობას შორის მას შემდეგ გამწვავდა, რაც საკრებულოს თავმჯდომარე ერაძე, რომელმაც ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „ნაციონალი“ თავმჯდომარე ჩაანაცვლა, გუნდისა და დინების საწინააღმდეგოდ წავიდა, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო და „ოცნების“ ერთგულ წევრებს დაუპირისპირდა. ამ ფაქტმა საკრებულოს დეპუტატების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყეს.**

**„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ კი, მურმან ყურაშვილს, მალხაზ ერაძეს, ლალი ციხელაშვილს, დავით გამყრელიძესა და თემურ სვანიძეს პარტიული სტატუსი შეუჩერა.**

**ვის აწყობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში არეულობა? ვის წისქვილზე ასხამს წყალს ჭორის გავრცელება, თითქოს „ოცნებაში“ ერთმანეთს დაერივნენ“? როგორ ახდენენ ზეწოლას „ოცნების“ მხარდამჭერებზე? რა ბეგრაუნდი აქვს საკრებულოს გაყოყოჩებულ თავმჯდომარე მალხაზ ერაძეს? რატომ ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ შეიძლება ერაძე „ოცნებაში“ ჩანერგილია? აქვს თუ არა ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის წესით გადაყენების ბერკეტი და რას აპირებენ თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებული ფალავანდიშვილი-ჩართოლანი? ბოლნისურ „პოლიტიკურ ალიაქოთში“ გასარკვევად „ვერსია“ დავით ჩართოლანს დაუკავშირდა.**




— დაახლოებით, 10 დღის წინ, საკრებულომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება — თანამდებობიდან გაათავისუფლა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ფალავანდიშვილი. არადა, ამ ადამიანს ერთი დარღვევაც კი არ ჰქონია.

**— სამაგიეროდ, მოვალეობას ვერ ასრულებდაო, თქვეს.**

— ეს არასერიოზული განმარტებაა. პრინციპში, განმარტებაც არაა. ხომ უნდა აეხსნათ, რას ვერ აკეთებდა? ეს რაღაც თითიდანგამოწოვილი მიზეზია. ერთი თვის განმავლობაში გვითვლიდა საკრებულოს თავმჯდომარე, ან მე ვიქნები ან თქვენო. რაღაც პიროვნულ მიზეზებს ასახელებდა. ეს მეწყინა, ის მეწყინაო — ამ დონეზე დაიყვანა სამსახურეობრივი ურთიერთობები. შევუთვალეთ, აეხსნა, რა ეწყინა, რა მოხდა ისეთი, რის გამოც რაიონში პოლიტიკურად დალაგებულ ვითარებას სასწორზე აყენებდა. ვერაფერი გავარკვიეთ. მაინც ჩაიდინა ეს უკანონობა და გაათავისუფლა ფალავანდიშვილი. მის ნაცვლად, დროებით მოვალეობის შემსრულებლად მოიყვანა მურმან ყურაშვილი. ამის შემდეგ, ჩემზე, ჩვენი პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებზე ზეწოლა დაიწყო. ყურაშვილმა, თანამდებობაზე მისვლის მეორე დღესვე დამიბარა და მითხრა, შენი გათავისუფლება ფალავანდიშვილთან ერთად გვინდოდა, მაგრამ არ მოხერხდა. ჩვენი ურთიერთობა როგორ წარმოგიდგენია, აჯობებს, განცხადება დაწერო და წახვიდეო.

**— განცხადების დაწერაზე უარი უთხარით?**

— რა თქმა უნდა. ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში ამას არ გავაკეთებ, რადგან უკანონობა არ ჩამიდენია, გაფრთხილებაც კი არ მიმიღია. ასე რომ, მიზეზი არ არსებობს, რის გამოც უნდა წავიდე და არც თქვენ გაქვთ მიზეზი, გამათავისუფლოთ-მეთქი. ამის შემდეგ ზეწოლა ისევ გაგრძელდა, მაგრამ განცხადება მაინც არ დავწერე. ბოლოს მითხრა, როგორი უკანონობაც უნდა იყოს, მაინც გაგათავისუფლებო. შევეცადე დამერწმუნებინა, უკვე ჩადენილი ერთი უკანონობისთვის მეორე არ მიემატებინა. მითხრა, სხვა თანამშრომლებსაც გავათავისუფლებ, ეს ბუნებრივი პროცესიაო. ვცადე გადამერწმუნებინა, მაგრამ არ მოხერხდა. ამის მერე ჯერ ერთი ბრძანება დაწერა, რომელიც არასწორად იყო შედგენილი და ცხადია, არ დავემორჩილე. მერე „გამოასწორა“ შეცდომა და ახალი ბრძანებით გამათავისუფლა. ეს უკანონო ქმედებაა — როცა ადამიანს საჯარო სამსახურიდან ათავისუფლებ, მინიმუმ, ორი გაფრთხილება უნდა ჰქონდეს მიღებული ან კანონი უნდა დაარღვიოს უხეშად.... მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩემს შემთხვევაშიც „განმარტეს“, თითქოს მოვალეობას არაჯეროვნად ვასრულებდი. ორი დღის მოსული იყო, რომ გამათავისუფლა. ამ ორ დღეში არ გამკარებია, არ დაუძახია ჩემთვის, დავალება არ მოუცია... როგორ შეაფასა ჩემი მუშაობა? ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება, ფარატინა ქაღალდზე ბრძანება დაჯღაბნა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და გამომიშვა სამსახურიდან.

**— როგორც ვიცი, ლევან ფალავანდიშვილმა სარჩელი უკვე შეიტანა. თქვენც აპირებთ სასამართლოს მიმართოთ?**

— დიახ. თითქმის მზად მაქვს სარჩელი და აუცილებლად მივმართავ სასამართლოს ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად.

**— თქვენზე და „ოცნების“ მხარდამჭერებზე რა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა?**

— ბინძური მეთოდებით იბრძოდნენ. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ელისო ხვედელიძის მაგალითი — მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური „პროკლამაციები“ გაავრცელეს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. ხალხმა ნახა და ჩვენ მოგვიტანა. ქალბატონ ელისოს საზოგადოება დიდ პატივს სცემს, უყვარს და ამიტომ შეწუხდა, როცა მსგავს ინფორმაციას წააწყდა.

**— ამბობენ, ქალბატონი ელისო ივანიშვილის თანაკლასელია და ამით სარგებლობსო.**

— ივანიშვილის თანაკლასელი ნამდვილად არის, მაგრამ ამას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს? ამით არასოდეს უსარგებლია. ქალბატონი ელისო უერთგულესი ადამიანი, საოცარი პიროვნებაა. ჩემსავით, ისიც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. სწორედ ჩვენ დაგვიპირისპირდნენ, ყველაზე ერთგულ ხალხს. ზეწოლა სხვა წევრებზეც ხორციელდება.

**— ლევან ფალავანდიშვილი აცხადებს, რომ ერაძე-ფალავანდიშვილს შორის ურთიერთობის დაძაბვას პარტიის ის წევრები ცდილობდნენ, ვისაც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ პარტიული სტატუსი უკვე შეუჩერა. რეალურად, რა მიზანს ემსახურება და ვის აწყობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში არეულობა?**

— მიზანი იყო ჩვენი, „ქართული ოცნების“ ერთგული ადამიანებისა და მომხრეების მოშორება. შეიძლება ვინმეს დემაგოგიად მოეჩვენოს, მაგრამ რეალობაა — მათი მიზანია, ბოლომდე ჩაიგდონ ხელში მუნიციპალიტეტი და ყველა თანამდებობაზე თავად დასხდნენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ეს გამოსდით. იმედია, ყველაფერი შეიცვლება. კანცელარიის წარმომადგენელმაც კი განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებებში იურიდიული გადაცდომებია და მოუწოდა ერაძეს, გამოასწოროს ვითარება. ეს მისასალმებელია.

**— და იმედი გაქვთ, რომ ერაძე გადაწყვეტილებას შეცვლის?**

— არ მგონია, ერაძეს იმის ჭკუა ეყოს, შეცდომები გამოასწოროს. ბევრჯერ ვეცადეთ მეც და სხვა წევრებიც, გადაგვერწმუნებინა, მაგრამ ვერაფერი გაიგო ამ ადამიანმა. არ მაქვს იმედი, რომ გონს მოეგება და რამეს შეცვლის. ამას აღარც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — ამ უკანონობის შემხედვარე დეპუტატებმა თავმჯდომარის იმპიჩმენტის შესახებ კანცელარიაში განცხადება შეიტანეს.

**— ბოლნისის საკრებულოს აქვს ბერკეტი, ერაძეს იმპიჩმენტი მოუწყოს?**

— დიახ, აქვს. როგორც ვიცი, ერაძეს დეპუტატებმა უკვე განუცხადეს, რადგან უკანონობა ჩაიდინე, გადადექი, თუ არადა, იმპიჩმენტს მოგიწყობთო. ალბათ, საკრებულო ამ წესით გადააყენებს თავმჯდომარეს.

**— არსებობს ინფორმაცია, ვის აირჩევს საკრებულო მალხაზ ერაძის ნაცვლად?**

— არა. მე არ მაქვს ინფორმაცია. მათგან განსხვავებით, ჩვენ არასოდეს ვერეოდით საკრებულოს მუშაობაში.

**— თუ არ ვცდები, მალხაზ ერაძე ყოფილი „ნაციონალია“. როგორ ფიქრობთ, „ოცნებაში“ წინა ხელისუფლებამ სწორედ იმისთვის ხომ არ „ჩანერგა“, რომ საჭირო დროს, მაგალითად წინასაარჩევნოდ, გუნდში განხეთქილება შეეტანა?**

— დიახ, ერაძე საკრებულოში მოხვდა ნაციონალებიდან. შემდეგ, თუ არ ვცდები, „ფორუმშიც“ იყო. მერე მოხვდა ჩვენთან, „ქართულ ოცნებაში“. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ცხადია, მაქვს გონივრული ეჭვი. მისი ქმედება „ქართული ოცნების“ წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. ამ დაპირისპირებამ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. იმასაც კი ამბობენ, „ოცნებაში“ ერთმანეთს დაერივნენო. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეს გასაკვირი არც იყო — ხალხმა ხომ არ იცის, სინამდვილეში რა ხდება. ეს განხეთქილება შეიძლება აწყობდეს მხოლოდ ძველ ხელისუფლებას და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ჩვენ პარტიას და ახალ მთავრობას ეს არაფერში სჭირდება. ვითარების დაძაბვის მცდელობა სხვა რაიონებშიც აქვთ. ამაზე მხოლოდ ნაციონალები არ მუშაობენ. ამაზე აქტიურად მუშაობს ბურჯანაძის პარტიაც. არ მინდა ცილი დავწამო, უბრალოდ ვამბობ, რომ იმ ყველაფრის ფონზე, რაც ჩვენთან ხდება, ყველა სხვა ძალა კომფორტულად გრძნობს თავს. ეს ვითარება საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევს. ისინი კი, კარგად გრძნობენ თავს ამღვრეულ წყალში. შესაბამისად, ალბათ, თვითონაც მუშაობენ ამ წყლის ამღვრევისთვის.

**— ამ ფონზე, ბოლნისში „ქართული ოცნების“ რეიტინგი შეიძლება დაეცეს?**

— ხალხი უნდა გაერკვეს, რეალურად რა ხდება. ნაწილობრივ, უკვე ხვდება კიდეც. რაღაცები ნელ-ნელა ლაგდება. თუ არეულობა გაგრძელდა და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქვა, რა თქმა უნდა, დადებით შედეგს ვერ მივიღებთ და ამან შეიძლება, რეიტინგზეც ცუდად იმოქმედოს, თუმცა იმედია, მალე ყველაფერი დალაგდება და გაირკვევა. ხალხი გაიგებს, რეალურად რა მოხდა. ადამიანები მიხვდებიან, რომ ეს არ არის „ოცნების“ შიგნით ბრძოლა თანამდებობისთვის. იმედია, სამართლიანობა მალე იზეიმებს. მთავარი ის კი არაა, მე ან ლევან ფალავანდიშვილი თანამდებობებზე დავბრუნდებით თუ არა, მთავარია, უსამართლობა აღიკვეთოს და არავინ აღარასოდეს გაბედოს თვითნებურად, ხელის ერთიმოსმით, უმიზეზოდ, უარგუმენტოდ გაუშვას ადამიანი სამსახურიდან.

## ვერსიანიუსი




### შსს-მ აჭარაში პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

შსს-ს ინფორმაციით, შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მდებარე სასტუმრო „ვიქტორიას“ მფლობელი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ალი ა, ამავე სასტუმროს ორი ადმინისტრატორი, საქართველოს მოქალაქეები — იზო ლ. და ირინე გ, ასევე, ღამის კლუბ „რეინას“ მფლობელი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ფაშა შ. პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით დააკავეს.

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სისტემატურად ახდენდნენ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას. სამართალდამცველების მიერ ღამის კლუბში მომუშავე ქალბატონები და სასტუმროს მომსახურე პერსონალი დაიკითხნენ. ამ დროისთვის დაკავებულები აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან მოთავსებული. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გამოყოფის ფაქტზე მიმდინარეობს“,** — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

***„პირველი“***

# სკოლებში რუსული სექტორები იხურება



ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ხორნაბუჯის სკოლის რუსული სექტორის 100-მდე მოსწავლის ბედი გაურკვეველია!

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

**კახეთში სკოლებს, სადაც რუსული სექტორი მოქმედებს, დახურვა ემუქრება, რის გამოც პედაგოგების საპროტესტო აქცია გაიმართა. ინფორმაციას ყველა არა, მაგრამ დედოფლისწყაროს რაიონის სკოლაში ოფიციალურად ადასტურებენ და ამბობენ, რომ მალე იგივე ბედს რეგიონის სხვა სკოლებიც გაიზიარებენ.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ხორნაბუჯის სკოლის რუსული სექტორის 100-მდე მოსწავლის ბედი გაურკვეველია, კითხვის ნიშნის ქვეშაა 30-ზე მეტი პედაგოგის ბედიც და ახალი სასწავლო წლიდან, შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საშუალო განათლების გარეშე დარჩნენ. ინფორმაციას ჩვენთან საუბარში სკოლის დირექტორიცა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელიც ადასტურებენ.

რუსული სექტორის გაუქმება სექტემბრიდან იგეგმება. სკოლის პედაგოგებმა დირექტორისგან უკვე მიიღეს გამაფრთხილებელი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ შესაძლოა, თანამშრომლების შემცირება მოხდეს, რუსული სექტორი კი ქართულს შეუერთდეს, რის მიზეზადაც დირექტორი ფინანსების სიმცირეს ასახელებს. გამაფრთხილებელ წერილში კონკრეტული თარიღიცაა მითითებული და ნათქვამია, რომ შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე წლის 2 სექტემბერს წყდება.

რუსული სექტორის მასწავლებლებმა და ეთნიკურად რუსი, სომეხი და ბერძენი მოსწავლეების მშობლებმა რუსული სექტორის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება აქციით გააპროტესტეს. მათი თქმით, მათი შვილები, ძირითადად, რუსულენოვან ოჯახებში იზრდებიან, ქართულ სექტორზე სწავლას ვერ შეძლებენ და სასკოლო პროგრამას ჩამორჩებიან. ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგები „ვერსიასთან“ უკვე ორი წელია საუბრობენ, რომ რუსულ სექტორზე ბოლო სამი წელია, მოსწავლეების მიღება აღარ ხდებოდა, რაც თავისთავად, სექტორის გაუქმების წინაპირობა გახდა. მსურველები იყვნენ, განცხადებებიც მრავლად შედიოდა, თუმცა დირექტორი მათ უარით ისტუმრებდა.

პედაგოგები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ რუსული სექტორის აკრძალვის მითითება ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისგან მოდიოდა, ვისთვისაც რუსული სექტორი არასასურველი 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის შემდეგ გახდა.

სოფელ ხორნაბუჯის სკოლის ეზოში გამართულ საპროტესტო აქციაზე პედაგოგები მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩენილ დირექტორს, ლალი მენთეშაშვილს დაუპირისპირდნენ, რადგან მათი თქმით, რუსულ სექტორზე სწავლის მსურველების მიღებას სკოლა სამი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად აფერხებდა. **„3 წლის წინ, როცა პირველი კლასი უნდა მიმეღო, თვითონ მივუტანე დირექტორს 19 ბავშვის მშობელთა განცხადებები, რომლებიც რუსულ სექტორზე სწავლას ითხოვდნენ, მაგრამ არ დაარეგისტრირა და მიპასუხა — რუსული სექტორი არ იქნებაო. მერე ზოგიერთი ოჯახი სოფლიდან წავიდა და მათმა შვილებმაც სწავლა სხვაგან განაგრძეს. შარშანაც მიუტანა პირველი კლასის მასწავლებელმა 30 განცხადება, მაგრამ კვლავ უარი თქვა... 3 წელია, რუსულ სექტორზე პირველი კლასი არ გვყავს. ასე სპეციალურად მოიქცნენ, რომ რუსული სექტორი გაუქმებულიყო“,** – აღნიშნა პედაგოგმა ინგა აგამიროვამ.

მენთეშაშვილმა თავი იმართლა, საბუთების მიღებას პირადად არ ვესწრები და არ მსმენია, სკოლას ვინმესთვის მიღებაზე უარი ეთქვაო.

დედოფლისწყაროს რაიონში, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა ერთადერთია, სადაც არაქართულენოვანი სექტორი მოქმედებს. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მიხეილ ბახუტაშვილი მუდმივად აღნიშნავდა, რომ დეფიციტურ სკოლებს შორის სოფელ ხორნაბუჯის სკოლაც შედის. მისი თქმით, ამ დრომდე რუსული სექტორის გადარჩენას სამინისტროდან დამატებით გადმორიცხული თანხებით ახერხებდნენ. ბახუტაშვილის განმარტებით, ვითარებას ისიც ართულებს, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში ტექნიკური პერსონალის ხელფასები მნიშვნელოვნად იზრდება, რაც სკოლის ბიუჯეტს კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება. ამ ფონზე, რესურსცენტრის ხელმძღვანელს რუსული სექტორის შენარჩუნების პერსპექტივა არარეალურად ესახება: **„სკოლას ფინანსური დეფიციტი შეექმნა. რაიონის გამგებელმა და მე, საერთო ძალისხმევით, ჯერ კიდევ თებერვლიდან დავიწყეთ ბრძოლა, რომ როგორმე სასწავლო წელი ჩაგვემთავრებინა და რუსული სექტორიც გადაგვერჩინა, რისთვისაც სამინისტროდან გადმორიცხული დეფიციტის შესავსები თანხები გამოვიყენეთ. ეს მაინც არ არის გამოსავალი... სკოლას საკუთარი თანხები არ გააჩნია და ვერ შეძლებს თუნდაც ერთი ნატეხი ცარცის შეძენას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სექტემბრიდან სკოლის ტექპერსონალსაც ხელფასები ლამის უორმაგდება, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ელის ხორნაბუჯის სკოლას. ხორნაბუჯში ვცხოვრობ და ამიტომ განსაკუთრებით განვიცდი ჩემი სოფლის სკოლის დღევანდელ მდგომარეობას. დაველოდოთ მოვლენებს... ვინ იცის, იქნებ ახალი კოეფიციენტით მოხდეს გადაანგარიშება, ან რაიმე ახალი კანონი მიიღონ, რაც გამოსავალს გვაპოვნინებს და მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბედიც გაურკვეველი არ დარჩება. ამჟამად რუსული სექტორის მოსწავლეების ქართულ კლასებში გაერთიანება იგეგმება“.**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უახლოეს დღეებში სოფელში მასშტაბური საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ.



## ირაკლი ალასანია აშშ-ის თავდაცვის მდივანს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას და აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ჩაკ ჰეიგელის შეხვედრის შესახებ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ რელიზშია ნათქვამი, ჩაკ ჰეიგელმა მადლიერება გამოხატა, რომ საქართველო აგრძელებს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) მისიაში მონაწილეობას და მადლობა გადაუხადა ირაკლი ალასანიას ქართველი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების მიერ გაღებული მსხვერპლისთვის.

**„თავდაცვის მდივანმა ჩაკ ჰეიგელმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ძალისხმევას, რათა გაზარდოს სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, რადგან ასეთი ქმედებები თავდაცვის რეფორმის გზით დემოკრატიული პროგრესის ძლიერი მაგალითია“,** — ნათქვამია პენტაგონის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

როგორც აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ვებგვერდზეა აღნიშნული, ჩაკ ჰეიგელმა აშშ-ის სახელით მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მისწრაფებისადმი. მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და რომ საქართველო აგრძელებს დემოკრატიული მონაპოვრის კონსოლიდირებას, როგორც ეფექტურ ზომებს ამ მისწრაფების წინსვლისთვის.

**„მინისტრები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას“,** — ნათქვამია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ყვარლის რაიონის სოფელ თივში მეჩეთი აშენდება

როგორც „სამხრეთ კავკასიაში ხუნძთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის“ ფილიალის ხელმძღვანელმა, ბადრუდინ იბრაგიმოვმა განუცხადა, მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება მიმდინარეობს.

**„ახლა გაფორმების სტადიაშია ის ტერიტორია, სადაც მეჩეთი უნდა აშენდეს. არსებობს შეთანხმება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და რაიონის ხელმძღვანელობასთან, რომ არანაირი წინააღმდეგობა არ იქნება საქართველოს ხელისუფლებისგან. ეს არის სოფელი, სადაც მოსახლეობის 100% მუსულმანია“,** — განაცხადა იბრაგიმოვმა.

მისი თქმით, ამ სოფელში არ არსებობს მეჩეთი, სადაც შესაძლებელია კოლექტიური ლოცვების ჩატარება, აქედან გამომდინარე, გადაწყდა მისი მშენებლობა.

რაც შეეხება დაფინანსებას, როგორც იბრაგიმოვი აცხადებს, ეს მოხდება კერძო შემოწირულობებით. მანვე აღნიშნა, რომ მეჩეთის მშენებლობა დაიწყება მაშინვე, როდესაც საჭირო დოკუმენტებზე მუშაობა დასრულდება. დღეს კი სიმბოლურად საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალის გამართვა იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ თივში სოფლის დაარსების 56-ე წლისთავთან დაკავშირებული კულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა. ამ დღესთან დაკავშირებით დაღესტნის რესპუბლიკიდან ჩამოსულები იყვნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზატორი დაღესტანში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხუნძთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია“ იყო.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ირანელი გორბაჩოვის“ გზავნილი მსოფლიოს და გასაიდუმლოებული პირადი ცხოვრება

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**„ირანს საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესება სასიცოცხლოდ სჭირდება“, — ირანის პირველი პირის ამ ფრაზამ მსოფლიო ლიდერებს შვებით ამოსუნთქვის საშუალება მისცა და იმედი ჩაუსახა, რომ ირანთან მოლაპარაკება შეიძლება, მათ შორის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებითაც. შვება, აჰმადინეჯადის მრავალწლიანი ავტორიტარული რეჟიმის შემდეგ, ირანელებმაც იგრძნეს: ირანის ახლადარჩეული პრეზიდენტი ჰასან როუჰანი ირანელებს ცვლილებებს ჰპირდება, დანარჩენ სამყაროს — „ბირთვული პრობლემის“ გადაჭრას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ირანს მუქარის ტონით არ დაელაპარაკებიან.**

## როგორ გახდა სანელებლებით მოვაჭრის შვილი ირანის პრეზიდენტი და რატომ მოსწონს დასავლეთს ჰასან ფერიდონი




### სანელებლებით მოვაჭრე რევოლუციონერის შვილი

ჰასან ფერიდონი ირანის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ სორხეში 1948 წლის 12 ნოემბერს დაიბადა. მომავალი პრეზიდენტის ოჯახი მდიდარი არ იყო, თუმცა არც ლუკმა-პური უჭირდა. დედა, სანიკე პეივანდი 5 შვილის აღზრდით იყო დაკავებული. სხვათა შორის, დღეს ჰასანის გარდა, მისი კიდევ ერთი შვილია პოპულარული ჰუსეინ ფერიდონი, რომელიც პროფესიით დიპლომატია და ძმის საპრეზიდენტო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული.

მამა, ჰაჯ ასადოლა ფერიდონი სანელებლებით ვაჭრობდა და პოლიტიკურ ბატალიებშიც მონაწილეობდა. რევოლუციონერი ჰაჯი, ისლამის რევოლუციამდე, რეჟიმთან ბრძოლის ბრალდებით, ციხეში 20-ჯერ მოხვდა. იგი 2011 წელს გარდაიცვალა, რაც ჰასანისთვის დიდი ტრაგედია იყო.

ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, ჰასანი თეოლოგიითა და სამართალმცოდნეობით დაინტერესდა და გადაწყვიტა, ორივე დარგს სრულფასოვნად დაუფლებოდა. 1960 წელს თეოლოგიის შესწავლა ჯერ სემნანის სემინარიაში დაიწყო, შემდეგ კი — ქალაქ კუმაში. მოგვიანებით, გვარიც შეიცვალა და როუჰანი გახდა, რაც სპარსულად, „სასულიეროს“ ნიშნავს. სემინარიის სტუდენტი ახერხებდა, დრო სამართალმცოდნეობისთვისაც დაეთმო. 1969 წელს თეირანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1972 წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო.

ჯერ კიდევ 1965 წელს, ახალგაზრდა როუჰანი მთელ ირანში დადიოდა და იმამ ჰომეინის მხარდამჭერ კამპანიას ეწეოდა. პოლიტიკური აქტიურობის გამო, არაერთხელ დააპატიმრეს და იძულებული გახდა, ქვეყნიდან წასულიყო.

როუჰანი მანამ ამტკიცებდა, მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი შოტლანდიაში, გლაზგოს უნივერსიტეტში მივიღეო, სანამ Iran Election Watch-მა ეს ინფორმაცია ეჭვქვეშ დააყენა. ძიებით აღმოჩნდა, რომ როუჰანი ნაკლებად პრესტიჟულ გლაზგოს კალედონიურ უნივერსიტეტში სწავლობდა.

ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ჰასან როუჰანმა აქტიური მუშაობა დაიწყო პარლამენტში. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი პოლიტიკური კარიერა.

### შეიხ-დიპლომატის გზა პრეზიდენტობამდე

1980-2000 წლებში იყო მეჯლისის (პარლამენტი) დეპუტატი, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. 1992-2000 წლებში — მეჯლისის ვიცესპიკერი. 1989 წლიდან ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს წევრია, 1999 წლიდან — ექსპერტთა საბჭოს წევრი. 1999 წელს როუჰანი ანტისამთავრობო სტუდენტური პროტესტის მონაწილეებს „შეუწყნარებელი და განსაცვიფრებელი“ დარბევით დაემუქრა, თუ არ დაიშლებოდნენ. ძველი ვიდეოჩანაწერები ასევე აჩვენებს, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ისრაელ-პალესტინას შორის ორი სახელმწიფოს მოდელს და იასირ არაფატის მიერ დადებულ ხელშეკრულებას „თვითშეურაცხმყოფელს უწოდებდა“. 1991 წლიდან კი, მიზანშეწონილობის საბჭოს წევრი გახლავთ. 1992 წლიდან სტრატეგიული კვლევების პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. 2003-2005 ირანის ბირთვული მოლაპარაკების გუნდს ხელმძღვანელობდა და ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სამ წევრ ქვეყანასთან — გერმანია-საფრანგეთი-ბრიტანეთი — ქვეყნის პირველი მომლაპარაკებელი გახლდათ. 2004 წელს, ირანმა ურანის გამდიდრების პროგრამა დროებით შეაჩერა და ამ ნაბიჯს როუჰანმა მოგვიანებით თავის წიგნში „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი“ უწოდა. აღნიშნულ მოლაპარაკებებში მომავალი პრეზიდენტი ჩართული ერთადერთი სასულიერო პირი იყო, რის გამოც, „შეიხ-დიპლომატად“ მონათლეს.

### წინასაარჩევნო დაპირებები და ბრძოლა პირველობისთვის

2013 წლის 7 მაისს როუჰანი საპრეზიდენტო არჩევნებზე დარეგისტრირდა. განაცხადა, რომ თუ აირჩევდნენ, მოამზადებდა „მოქალაქეთა უფლებების ქარტიას“, აღადგენდა ეკონომიკას და განაახლებდა გაყინულ ურთიერთობებს დასავლეთთან; რეფორმის აუცილებლობაზე, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე საუბრობდა. სატელევიზიო დებატში აშშ-სთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზეც ილაპარაკა, რომელიც 1979 წლის „მძევალთა კრიზისის“ დროიდან მოყოლებული შეწყვეტილია.

კამპანიის განმავლობაში ღიად აკრიტიკებდა აჰმადინეჯადის პოლიტიკას და აცხადებდა, რომ მან ბევრი მტერი შესძინა ქვეყანას და ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა.

ალაპარაკდა ტურისტული ბიზნესის აღორძინებაზეც — ირანში ბევრი ღირსშესანიშნაობაა და ტურისტების მოზღვავებამ ქვეყანას, შეიძლება, ფულიც მოუტანოს, მაგრამ ტურიზმს აღორძინების საშუალებას რელიგიური შეზღუდვები არ აძლევსო, — ამბობდა. ამ ფონზე, დადო პირობა, რომ ბევრ რელიგიურ შეზღუდვას მოხსნიდა, მაგალითად, პლაჟზე დასვენების აკრძალვას და შეზღუდვას ინტერნეტის მოხმარებაზე (ბევრი ანალიტიკური ვებგვერდი და სოციალური ქსელი, მაგალითად, „ბი ბი სი“, „ფეისბუქი“, „იუთუბი“... ირანში დაბლოკილია).

როუჰანის სახელს უკავშირდება „ისრაელის სკანდალი“ — თეირანში ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ისრაელი ისლამური სამყაროს სხეულზე ავთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც უნდა მოიკვეთოს და იქვე აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თეირანი ბირთვული პროგრამის დემონსტრირებას




მოახდენს. ისრაელის პრემიერმა, ბინიამინ ნეთანიახუმ პასუხი არ დააყოვნა, როუჰანმა თავისი საზიზღარი სახე იმაზე ადრე გამოამჟღავნა, ვიდრე მოსალოდნელი იყოო. მოგვიანებით, ირანულ მედიას განმარტების გაკეთება მოუხდა, როუჰანი მხოლოდ პალესტინის ოკუპაციაზე საუბრობდა, რომელიც მისი ლექსიკით, „ისლამური ნაციის მოუშუშებელი ჭრილობაა“.

ირანის რიგით მე-11 საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 14 ივლისს გაიმართა. ჰასან როუჰანიმ არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების 50,68% დააგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარი 18,6-მა მილიონმა მოქალაქემ დაუჭირა. როგორც კი არჩევნების წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო, ცხადი გახდა, რომ როუჰანი დიდი უპირატესობით უსწრებდა კონკურენტებს...

ჟურნალი Foreign Policy წერს, რომ ირანის არჩევნები ერთი ადამიანის მიერ განსაზღვრული საარჩევნო პრინციპით ჩატარდა და ეს ადამიანი უმაღლესი ლიდერი ალი ჰამენეია. გუშაგთა საბჭომ 2013 წლის არჩევნებისთვის, 868 კანდიდატიდან 678-ის დისკვალიფიცირება მოახდინა. სწორედ ჰამენეი განსაზღვრავდა, ვინ მოხვდებოდა საარჩევნო ბიულეტენში. მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს ყოფილ პრეზიდენტ აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის, რომელიც სხვათა შორის, 1989 წლიდან მიზანშეწონილობის საბჭოს უცვლელი თავმჯდომარეა და აჰმადინეჯადის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ ესფანდიარ რაჰიმ მაშაეის. მიუხედავად ამისა, არჩევნების შედეგებს უნდობლობა მხოლოდ რამდენიმე არაპოპულარულმა ორგანიზაციამ და მარგინალმა ოპოზიციურმა ძალამ გამოუცხადა.

### „ირანელი გორბაჩოვი“

ინაუგურაცია 2 დღე გრძელდებოდა. 3 აგვისტოს იმამმა აიათოლა ალი ჰამენეიმ დალოცა. სწორედ ამ დღიდან იწყება მისი საპრეზიდენტო ვადის ათვლა. 4 აგვისტოს კი, ცერემონია მეჯლისში ჩატარდა, რომელსაც პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, 1979 წლის რევოლუციიდან 30-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად, 50 ქვეყნიდან ჩასული სტუმრებიც ესწრებოდნენ. ცერემონიას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია — საუდის არაბეთმა სუდანის პრეზიდენტს საჰაერო სივრცე გადაუკეტა და ირანში ჩასვლის საშუალება არ მისცა, თუმცა ამ ინციდენტს ინაუგურაციისთვის ხელი არ შეუშლია.

**„უფლის სახელით, ვფიცავ, როგორც პრეზიდენტი, შევასრულო ჩემი ვალდებულებები ხალხის საკეთილდღეოდ, ქვეყნის განვითარებისთვის, რელიგიის გაძლიერებისთვის, სამართლიანობის აღდგენისთვის. უარვყოფ დიქტატურას, დავიცავ პირად თავისუფლებას, პატივს ვცემ ადამიანებს და მათ უფლებებს, გავაკეთებ ყველაფერს ირანის პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ასევე საზღვრების დასაცავად“,** — ფიცის დადების შემდეგ როუჰანი სიტყვითაც გამოვიდა, ყოვლისშემძლე ღმერთს საჯაროდ შესთხოვა, „დაიფაროს და განსაზღვროს ირანის ბედი“.

ახალ პრეზიდენტს, პირველ რიგში მოუწევს, აჰმადინეჯადის 8-წლიანი მმართველობის დროს წარმოქმნილი პრობლემები მოაგვაროს. ირანში ამბობენ, რომ როუჰანი ყველაფერს შეძლებს, რადგან წინამორბედისგან განსხვავებით, „100%-ით ადამიანია“.

ირანის პრეზიდენტის პოსტზე ჰასან როუჰანის მოსვლის შემდეგ, მკვლევართა ნაწილი რეფორმების შესაძლებლობასა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანის შანსზე ალაპარაკდა. ამ ფონზე, როუჰანის საერთაშორისო მედიამ ირანელი გორბაჩოვიც კი შეარქვა.

ბარაკ ობამამ როუჰანის გამარჯვება შეაფასა როგორც ირანელების სურვილი, ქვეყანა „სხვა მიმართულებით წავიდეს“, თუმცა ანალიტიკოსები ამბობენ, რომ რეფორმებს ირანში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, თუკი უმაღლესი ლიდერი, ჰამენეი მიხვდება, რომ სახალხო მღელვარების თავიდან ასაცილებლად, ირანს დაკნინებული ეკონომიკის გამოცოცხლება სჭირდება.

და მაინც, დასავლეთსა და ირანში იმედოვნებენ, რომ ახალი პრეზიდენტის პირობებში, შესაძლებელი გახდება ბირთვულ პროგრამაში გარკვევა და ქვეყნისთვის დაკისრებული სანქციების მოხსნა.

როუჰანი აცხადებს, რომ მზადაა, შეაჩეროს ურანის გამდიდრების პროგრამა და ამ საკითხზე მოლაპარაკებები აწარმოოს „5+1“-თან. არაა გამორიცხული, მოლაპარაკებები სექტემბერშიც დაიწყოს.

**„ირანის თვითმიზანი არაა ომი დანარჩენ სამყაროსთან. ელაპარაკეთ ირანს როგორც თანასწორს და არა — მუქარის ტონით და ომი არ იქნება! როგორც პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ ისლამურ რესპუბლიკას აქვს პოლიტიკური ნება ამ პრობლემის გადასაჭრელად. პირდაპირ გეტყვით, თუ გინდათ მიიღოთ ღირსეული პასუხი, სანქციებით კი არა, პატივისცემით გველაპარაკეთ“,** — ეს პრეზიდენტ როუჰანის ერთ-ერთი პირველი გზავნილია მსოფლიოსთვის.

მას თავდაჯერებულ, პრაგმატულ და ლიბერალ პოლიტიკოსად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ იცის კომპრომატების გამოძებნა. დასავლეთში ყველაზე მეტად ის მოსწონთ, რომ გუნდი, რომელიც როუჰანმა 5 აგვისტოს წარადგინა, ევროპა-აშშ-ში ნასწავლი კადრებითაა დაკომპლექტებული. ბევრი ანალიტიკოსისთვის ეს იმის მანიშნებელია, რომ ახალი პრეზიდენტის პოლიტიკა იქნება განსხვავებული. სამაგიეროდ, მის მიერ წარდგენილი გუნდი ირანში ბევრს არ მოეწონა. განსაკუთრებული კრიტიკა ვიცე-პრეზიდენტად ქალის, ელჰამ ამინზადეს დანიშვნას მოჰყვა — ასეთ მაღალ თანამდებობაზე სუსტი სქესის დანიშვნას ირანელებს ვერც კი წარმოიდგენდნენ. ელჰამ ამინზადე იურისტია. „მას სათანადო განათლება, დიდი გამოცდილება და საოცარი მორალური ღირებულებები აქვს“, — განაცხადა როუჰანმა და დასძინა, რომ ამიერიდან, ირანში ქალის როლი გაიზრდება, სუსტი სქესის ნებისმიერ წარმომადგენელს მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება და უფლება. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეს თანამედროვე ირანის ცხოვრებაში ახალი სიტყვაა და იმედოვნებენ, რომ როუჰანი კიდევ ბევრ ასეთ „ახალ სიტყვას“ ეტყვის ირანელებსა და მსოფლიოს.

### გასაიდუმლოებული პირადი ცხოვრება

მის პირად ცხოვრებაზე ბევრი არაფერია ცნობილი. მედიაში არ მოიპოვება მისი მეუღლისა და შვილების ფოტოები. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ 1969 წელს, ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში დაქორწინდა 6 წლით უმცროს ბიძაშვილ სახედე როუჰანზე. წყვილს 4 შვილი ჰყავდა, თუმცა ერთმა 1992 წელს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მიზეზი არ ხმაურდება. ამ თემაზე როუჰანი არასოდეს ლაპარაკობს. მისი გარემოცვა კი ამბობს, რომ როუჰანების ოჯახს, ბედნიერად ცხოვრებაში ხელი ვერც ამან შეუშალა — ოჯახის წევრის დაკარგვის შემდეგ, თითქოს კიდევ უფრო მეტად შეიკრნენ ერთ მუშტად, ტკივილს ერთმანეთს უმსუბუქებენ და იმის გააზრებაში ეხმარებიან, რომ უფალი ცხოვრების გაგრძელების ძალას აუცილებლად მისცემს.



1. ძველი ქართული ვაშლის ზამთრის ჯიში
2. ქლიავის ჯიში
3. მძიმე კრიზისი ქვეყნის ეკონომიკაში
4. თევზსაჭერი მოწყობილობა
5. ოფელიას ძმა „ჰამლეტში“
6. გეომეტრიული სხეული
7. იტალიის საფეხბურთო კლუბი
8. რისამე განვითარების მწვერვალი
9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი
10. ქალაქის ან სოფლის ნაწილი
11. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
12. ზვერით შემდ. ერთნაირი და მნიშვნ. განსხ. სიტყვა
13. ძაღლის ჯიში
14. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
15. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში
16. ძველებური საწერი მასალა
17. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
18. მადამ ბოვარის სახელი
19. მდინარე რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში
20. გასიერნება ბავშვის ენაზე
21. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
22. შოტლანდიის უდიდესი ქალაქი
23. სამოთხის ბაღი
24. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
25. პუშკინის გადია
26. წილი ბიზნესში
27. ხორცის უძვლო ნაჭერი
28. თარგმნეთ ქართულად „პარაბელუმი“
29. ფრანგი კინოვარსკვლავი იზაბელ ...
30. გამოსაკითხი ფურცელი
31. თეთრკანიანის და შავკანიანის შთამომავალი
32. ლატვიის ფულის ერთეული
33. ქალაქი იმერეთის მხარეში
34. ცხელი მატონი-ზირეზელი სასმელი
35. თიხის ცილინდრული ნაკეთობა პურის გამოსაცხობად
36. მცენარეული თხევადი ცხიმი
37. მონასტერი ადიგენ. რ-ში
38. ორშაბათი ძვ. ქართ.
39. ის, რაც შესაკრებთა გადანაცვლებით არ იცვლება
40. ფუჭი, უშედეგო
41. მუსიკალ. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
42. ჩანგლის „მეწყვილე“
43. ქალაქი ფლორიდის შტატში
44. ... დეიმონი
45. ვაზების მწკრივი
46. ვიქტორ ჰიუგოს „... ბლაზი“
47. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი
48. რობერტ ბარძიმაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი
49. ფრანგული მსხლის ჯიში ... ბოსკი
50. რაჭის უდიდესი ქალაქი
51. მეორეხარისხოვანი ელემენტები ფერწერულ კომპოზიციაში
52. ხაჩიკიანის საყვარელი საჭმელი „მიმინოში“
53. ჰოლანდიური გვარების წინსართი
54. აკვარიუმის მცენარე
55. ყაზახეთის დედაქალაქი
56. დილის სიმღერა ტრუბადურთა პოეზიაში
57. რჩეული საზოგადოება
58. ყატარის დედაქალაქი
59. ფანჯარაზე ჩამოფარებული ქსოვილი
60. სადილის შემდგომი დასვენება ესპანეთში
61. ვაგნერის ოპერა
62. თვალის ფერადი გარსი
63. იგივეა, რაც კოცნა
64. ფრანგი გრაფიკოსი და სკულპტორი
65. დროის ათდღიანი მონაკვეთი
66. დიზაინერი კაროლინა ...
67. ქალაქი საფრანგეთში
68. იაპონური ავტომარკა
69. მომღერალი ... კაკულია
70. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა
71. წარსულში ცნობილი შვედური კვარტეტი
72. ქართული დასახლება ბაშკე
73. ღვთაებრივი მხსნელი
74. სასიგნალო ტივტივა წყალზე
75. „თავისუფლების“ კუნძული
76. რაჯ კაპურის ცნობილი ფილმი
77. ნივთზიანი საწებელი
78. ოქროს ან ვერცხლის ძაფი
79. ღამის ფრინველი
80. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
81. ქალაქი იტალიაში
82. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
83. ისრაელის წარმოების ავტომატი
84. ტყავის გამომყვანი ხელოსანი
85. ღამის საპირისპირო სიტყვა
86. ანდრომედას დედა ბერძნულ მითოლოგიაში
87. სიმებიანი მომცრო მუსიკალური საკრავი

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 4 | | 8 | | |
| 8 | | | 6 | | | | 3 | 2 |
| | 3 | | | | | | | 1 |
| | 6 | 3 | 1 | | | | | |
| | | 8 | 7 | | 2 | 4 | | |
| | | | | | 5 | 3 | 8 | |
| 3 | | | | | | | 7 | |
| 2 | 5 | | | | 3 | | | 8 |
| | | 6 | | 7 | | | 2 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 7 | | 3 | 2 | 6 | 5 |
| | | | 5 | | | | | |
| 3 | | | | | 6 | | 4 | |
| 2 | | | | | 5 | | 3 | 4 |
| | | 5 | | 9 | | 1 | | |
| 1 | 9 | | 3 | | | | | 2 |
| | 6 | | 2 | | | | | 3 |
| | | | | | 4 | | | |
| 4 | 2 | 1 | 6 | | 9 | | | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | 6 | |
| | | 5 | 3 | | | | 9 | |
| | 9 | | | | | 5 | | 2 |
| | 4 | 1 | | | | | | |
| 9 | | 3 | 4 | 5 | 2 | 7 | | 6 |
| | | | | | | 2 | 4 | |
| 6 | | 4 | | | | | 7 | |
| | 1 | | | | 7 | 9 | | |
| | 7 | | | 3 | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 3 | | | | | | |
| | 4 | | 8 | | | 6 | | 5 |
| 6 | | | | | 9 | | 3 | 7 |
| | | | | 8 | 7 | | 6 | |
| | | | | 2 | | | | |
| | 8 | | 1 | 6 | | | | |
| 8 | 6 | | 5 | | | | | 2 |
| 5 | | 2 | | | 1 | | 8 | |
| | | | | | | 4 | | 6 |



# ჰოროსკოპი
## 23 აგვისტო

**ვერძი** — საკმაოდ კარგი დღეა მოგზაურობისთვის. შესაძლებელია საქმიანი შეხვედრები ან სატელეფონო საუბრები მეგობრებთან ან ახლობლებთან. კარგი პერიოდია მრავალმხრივი ურთიერთობისთვის, ნებისმიერი სახის პარტნიორობისა და კულტურული ღონისძიების დაგეგმვისთვის.

**კურო** — საკმაოდ რთული დღე გელით. წინა დღეს ჩადენილი გაუაზრებელი საქციელი დღეს დიდი უსიამოვნებით გემუქრებათ, ამიტომ მოგიწევთ, დრო საკუთარი შეცდომების გამოსწორებას დაუთმოთ.

**ტყუპები** — დღეს საკმაოდ ენერგიული იქნებით, მოკამათე მხარეების შერიგების მცდელობა ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნება. არც ახლი საქმის წამოწყება მოგიტანთ წარმატებას, დანიშნული შეხვედრებიც, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გადაიდება.

**კირჩხიბი** — კარგი დღეა როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური სამუშაოსთვის. არ არის გამორიცხული, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად რომანტიკული საღამო გაატაროთ. მიხედეთ ჯანმრთელობას და შეგიძლიათ სამეურნეო საქმეებითაც დაკავდეთ.

**ლომი** — დღე მაღალი აქტიურობით გამოირჩევა. დღის მეორე ნახევარში მკაცრად დაიცავით დიეტა, შეეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს სახლში, რადგან დღეს თქვენი განაწყენება ძალიან ადვილია.

**ქალწული** — დღეს ფრთხილად იყავით. წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ გარანტირებული, თუკი შეძლებთ, სწორად შეარჩიოთ მომენტი და გარშემომყოფები დაარწმუნოთ თქვენს სიმართლეში. გაუთვალისწინებელმა მოვლენამ, შესაძლოა, სახლში სერიოზულ კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

**სასწორი** — დღეს დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. არ არის გამორიცხული, რომ საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად, რომანტიკულ გარემოში გაატაროთ.

**ღრიანკალი** — დღეს აუცილებელია მოთმინებით აღიჭურვოთ, კონფლიქტებს თავი რომ აარიდოთ. ზოგიერთები განსაკუთრებით ემოციურები იქნებიან. თუ გყავთ უცხოელი მეგობრები, სწორედ შესაფერისი დღეა მათთან შესახვედრად. შეეცადეთ, სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**მშვილდოსანი** — საქმეში დღეს განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა, ელემენტარული შეცდომა დაუშვათ, რაც ფინანსურ დანაკარგს მოგიტანთ, თუმცა ნუ დაღონდებით, წარმატება ყოველ ნაბიჯზე თან გდევთ.

**თხის რქა** — არ არის გამორიცხული, რომ დღეს მათ გიღალატონ, ვისი იმედიც გქონდათ. სწორედ დღესაა შესაძლებელი, რომ შეთანხმებას მიაღწიოთ პარტნიორებთან და დამშვიდდეთ.

**მერწყული** — დღეს შეგიძლიათ ძველი ურთიერთობების ერთი ფურცელი გადაშალოთ და ერთ-ერთ დიდი ხნის მეგობართან ურთიერთობა დაასრულოთ. დგება ფასეულობათა გადაფასების მომენტი, უფრო თავისუფალი გახდებით სხვათა გავლენისგან, განსაკუთრებით მატერიალურ ურთიერთობებში.

**თევზები** — დღეს წარმატება გელით საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. არ არის გამორიცხული შეხვედრა ან მოულოდნელი შეთავაზება ბიზნესში ძველი პარტნიორისგან. განსაკუთრებით აკონტროლეთ ემოცია, ოჯახში კამათს რომ თავი აარიდოთ.

# იაპონელები შავ ჰოთ-დოგებს მიირთმევენ



ამომავალი მზის ქვეყანა ცნობილია პროდუქტების არჩევისას თავისი ორიგინალობით. ახლა მათ სიას კიდევ ერთი კურიოზული საჭმელი მიემატა — ეს მიწასავით შავი ჰოთ-დოგია და ის ფასტ-ფუდის პროდუქტებს შორის დღეს ყველაზე პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ღუმელში დამწვარს ჰგავს. ეს 30-სანტიმეტრიანი „საოცრება“ ტოკიოს სწრაფი კვების ქსელის — Vegas Premium Hot-Dogs ერთ-ერთ დაწესებულებაში იყიდება. იდეა ახალი არ არის, რადგან მსგავსი ჰამბურგერები წელს Burger King-ის ქსელში გამოჩნდა — შავი ფუნთუშა და მუქი ფერის კეტჩუპი, თუმცა ხორცი და ბოსტნეული მასში ჩვეულებრივი ფერისაა. იაპონელებმა გადაწყვიტეს, კონკურენტისთვის ეჯობნათ და აბსოლუტურად შავი ჰოთ-დოგი შექმნეს, რომელშიც ყველა ინგრედიენტი შავია. პროდუქტმა მალე მოიპოვა პოპულარობა და ახლა კლიენტების რიგი დგას. როგორც აღმოჩნდა, პროდუქტისთვის შავი ფერის მისაცემად კომპანია ბამბუკის ნახშირს იყენებს, მას აზიაში დიდი ხანია, საკვებ საღებავად იყენებენ. ნახშირს არანაირი გემო არ აქვს და არც პროდუქტს აფუჭებს. შავი ჰოთ-დოგი საკმაოდ ძვირი, 6 დოლარი ღირს.

# დაკლებულ კილოგრამებს ოქროთი აუნაზღაურებენ



დუბაის ხელისუფლება აქციას იწყებს — „შენი წონა — ოქრო“, რომლის მონაწილეებიც ზედმეტი კილოგრამების მოკლებისას ჯილდოდ სუფთა ოქროს მიიღებენ. აქცია მოსახლეობის გაჯანსაღებისა და ჭარბ წონასთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში იმართება რამადანის პერიოდში. ყოველი მოკლებული კილოგრამის სანაცვლოდ, პროგრამაში დარეგისტრირებულ მონაწილეებს, ერთ გრამ სუფთა ოქროს გადასცემენ. კონკურსის ბოლოს კი სამ გამარჯვებულს, ვინც ყველაზე მეტს მოიკლებს, ჯილდოდ ამ ძვირფასი მეტალის ზოდებს გადასცემენ, რომლის ფასიც დაახლოებით, 5,5 ათასი დოლარია. კონკურსის მთავარი პირობაა, წონაში ბუნებრივი კლება — სწორი კვება და სპორტული ვარჯიში. არავითარი კოსმეტიკური პროცედურები, ოპერაციები და დიეტა.



# ჰოროსკოპი
## 24 აგვისტო

**ვერძი** — არ ღირს იმაზე ფიქრი და დროის ხარჯვა, რომ ვიღაცას თქვენზე მეტად გაუმართლა. დღეს ერთი ბედნიერი ადამიანისგან მეტად ხელსაყრელ შეთავაზებას მიიღებთ. სისულელე იქნება უარის თქმა მხოლოდ საკუთარი სიამაყის გამო.

**კურო** — დღეს იმის შეგრძნება გტანჯავთ, რომ შეცდომა დაუშვით და დრო და ფული ტყუილად დახარჯეთ. ნუ დაიტანჯავთ თავს ამგვარი აზრებით, სასურველი შედეგი აუცილებლად დადგება. ... 

**ტყუპები** — რაც უნდა უცნაურად გეჩვენებოდეთ, რომ სამუშაოს კეთება და სიამოვნების მიღება ერთად შეუძლებელია, ამაში დღევანდელი დღე დაგარწმუნებთ.

**კირჩხიბი** — დღეს ცოტა არ იყოს, შურის გრძნობა გაწუხებთ, თუ თქვენს ახლობლად ვიღაცას მოულოდნელად გაუმართლებს, შეეცადეთ, ამას ყურადღება არ მიაქციოთ, თუკი ამ ადამიანის სიხარულს ვერ გაიზიარებთ.

**ლომი** — დღეს შესაძლოა, თქვენი გარემოცვიდან ყველაზე უინტერესო და მატყუარა ადამიანის მსხვერპლი გახდეთ. შეეცადეთ, ასეთ პერსონას თავი მაქსიმალურად აარიდოთ.

**ქალწული** — ქალწულები დღეს განსაკუთრებით ცდილობენ, მოვლენების მკვეთრი ფორსირება მოახდინონ. შეეცადეთ, ამას თავი აარიდოთ, რადგან, ჯერ ერთი, ამას უფრო მეტი წინააღმდეგობა მოჰყვება, მეორეც — ამას გამოხტომად ჩაგითვლიან, ამიტომ ზომიერება დაიცავით.

**სასწორი** — დღე მშვიდი და საკმაოდ პროდუქტიული იქნება, თუ, რასაკვირველია, თავს აიძულებთ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, რაც ადვილი არ იქნება, მაგრამ სასურველ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

**ღრიანკალი** — ილაპარაკო, რასაც ფიქრობ და იფიქრო, რასაც ლაპარაკობ — სულაც არ არის ერთი და იგივე. ამიტომ მკაცრად გააკონტროლეთ ნებისმიერი ფრაზა, რადგან შესაძლოა, თქვენი ნათქვამი არასწორად გაიგონ.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს მოუწევთ, გარშემომყოფებს პოპულარულ, ყველასთვის გასაგებ ენაზე აუხსნან საკმაოდ რთული და მათთვის გაუგებარი რაღაცები. თუკი ერთი ადამიანი მაინც გაიგებს — შეგიძლიათ, თავი გმირად ჩათვალოთ.

**თხის რქა** — დღეს განსაკუთრებით დააკვირდით გარშემომყოფთა ნალაპარაკებს. დიდია ალბათობა, რომ ერთ-ერთი მათგანი გაუცნობიერებლად გაწყენინებთ, თუმცა ემოციებს თუ არ აჰყვებით, ეს ფაქტი უკვალოდ გაქრება.

**მერწყული** — რაც უნდა მოინდომოთ, დღეს ბოლომდე ვერ დაიხარჯებით. ყოველთვის რაღაც შეგიშლით ხელს. ასეთ დროს უმჯობესია, გაერიდოთ ვითარებას და განმარტოვდეთ.

**თევზები** — დღეს დიდი ძალისხმევის გარეშე მოახერხებთ, რომ მთელი სამყარო თქვენს გარშემო და თანაც, საჭირო მიმართულებით ტრიალებდეს. საკითხავი მხოლოდ ის არის, გსურთ თუ არა ეს.



# იაპონელები ბედის შეცვლას ცდილობენ

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა შორის, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარულია ქირომანტია, რადგან მასობრივად იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს ხელისგულზე, ხაზები რომ შეცვალონ და, შესაბამისად, ბედიც. აქაური ქირურგები აცხადებენ, რომ ყველაზე ხშირად პაციენტები ითხოვენ იმ ხაზების დაგრძელებას ან ახალი ხაზების დამატებას, რაც წარმატებას ან ბედნიერ ქორწინებას უკავშირდება. მსგავსი პლასტიკური ოპერაცია, დაახლოებით, 110 დოლარი ჯდება და ელექტროსკალპელის დახმარებით კეთდება. ლაზერით ჩარევისას ხაზები მკვეთრი არ იქნება. მკაფიო კვალის დასატოვებლად საჭიროა ელექტრული სკალპელი, — ამბობს ერთ-ერთი კლინიკის ექიმი. ქირურგიული ჩარევა სულ 10-15 წუთი გრძელდება და ამ პერიოდის განმავლობაში სპეციალისტი ასწრებს 5-10 ხაზის შესწორებას. მამაკაცები, როგორც წესი, ბიზნესში წარმატებასთან დაკავშირებულ ხაზებს იცვლიან, ქალები კი, ყველაზე ხშირად, გათხოვების ხაზების კორექტირებას ახდენენ.

# სუდოკუ ჯანდაცია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | 8 | | | | |
| | 4 | | | | | 5 | | 8 |
| | | 8 | | | 5 | 6 | | 3 |
| 1 | 7 | | | | | | | |
| 5 | | | 1 | | 8 | | | 9 |
| | | | | | | | 6 | 5 |
| 9 | | 1 | 6 | | | 3 | | |
| 3 | | 4 | | | | | 5 | |
| | | | | 2 | 4 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | | | |
| 2 | 1 | 7 | | | | | | |
| | | | | | | 4 | 3 | 2 |
| 6 | | 8 | 9 | | | | 5 | |
| 3 | | | 5 | | 6 | | | 1 |
| | 7 | | | | 4 | 3 | | 9 |
| 8 | 5 | 6 | | | | | | |
| | | | | | | 6 | 8 | 7 |
| | | | 4 | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 8 | | 6 | | | |
| | | | | | 9 | 8 | | |
| | 8 | | | 2 | | | | 7 |
| 7 | | 6 | | 1 | | | | 9 |
| 2 | 1 | | | 6 | | | 5 | 4 |
| 4 | | | | 5 | | 7 | | 6 |
| 8 | | | | 3 | | | 4 | |
| | | 9 | 1 | | | | | |
| | | | 7 | | 5 | | | 8 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 7 | 6 |
| | | | | | 2 | 5 | | 4 |
| | | 8 | 7 | 5 | 3 | | | |
| | | 6 | | 2 | | 9 | | 7 |
| | 8 | | | | | | 1 | |
| 7 | | 4 | | 9 | | 2 | | |
| | | | 5 | 8 | 9 | 7 | | |
| 8 | | 9 | 2 | | | | | |
| 4 | 2 | | | | | | | |



# ჰოროსკოპი
## 25 აგვისტო

***ვერძი*** — დღეს კვლავ ჩაეფლობით უსიამოვნო სამუშაოს ჭაობში, თუმცა აქტიური მოქმედების უნარი მაინც შეგრჩებათ. თქვენი პრობლემების გადაჭრა არ არის რთული, ამისთვის მხოლოდ სწორი მიდგომის გამოძებნაა საჭირო.

***კურო*** — დღეს ნამდვილად არ ხართ კამპანიაში გართობის ხასიათზე. გარშემომყოფები შეიძლება საკმაოდ მომაბეზრებელნი აღმოჩნდნენ, ასე რომ, სჯობს, მათ ცოტა ხნით გაერიდოთ.

***ტყუპები*** — ის სიმსუბუქე, რომლითაც მზად ხართ, დააფინანსოთ ნებისმიერი იდეა, საბოლოოდ სერიოზულ დანაკარგებამდე მიგიყვანთ. როცა ლაპარაკია ფინანსებზე, სჯობს, უკეთ დაფიქრდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღოთ.

***კირჩხიბი*** — თვითრეკლამა დღეს საკმაოდ შორს წაგიყვანთ. ფრთხილად იყავით, შესაძლოა, თქვენივე ნათქვამი წინ დაგხვდეთ და თავაზიანად მოგთხოვონ მის შესაბამისად მოქცევა.

***ლომი*** — დღეს განსაკუთრებით ცინიკური ხართ გარშემომყოფების მიმართ, რის გამოც ისინი გაგინაწყენდებიან, ამიტომ უკეთესი იქნება თუ მეტ ლოიალობას გამოიჩენთ — ეს სამომავლოდ მხოლოდ თქვენთვის იქნება უკეთესი.

***ქალწული*** — დღეს დიდია ალბათობა, შეილახოს თქვენი რეპუტაცია და ამის გამო, საკმაოდ რთული პერიოდი გელით. შესაძლოა, ფულთან დაკავშირებული პრობლემებიც გაჩნდეს.

***სასწორი*** — ნებისმიერი საქმე, რასაც დღეს ხელს მოკიდებთ, წარუმატებელი იქნება. ამიტომ აჯობებს, განიტვირთოთ და დრო მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ.

***ღრიანკალი*** — ბოლო დროს შესრულებულმა სამუშაომ საკმაოდ დაგღალათ, თუმცა შედეგი იმდენად წარმატებული იქნება, რომ ყველა უსიამოვნებას დაგავიწყებთ.

***მშვილდოსანი*** — თუკი რეალობა და ოცნება საკმაოდ შორსაა ერთმანეთისგან, სადარდებელი ნამდვილად გაქვთ, თუმცა სჯობს, ძალისხმევა არ დაიშუროთ საკუთარი ოცნებების ასასრულებლად.

***თხის რქა*** — დღეს საუკეთესო ფორმაში ხართ. გარშემომყოფები მოუთმენლად ელიან თქვენს ყოველ შემდეგ ნაბიჯს. შეგიძლიათ ხელგაშლილობაც გამოიჩინოთ, ახლა ნამდვილად წარმატებული პერიოდი დაგიდგათ.

***მერწყული*** — დღეს ამბიციები მშვიდად ჯდომის უფლებას არ მოგცემთ, ხმაურიანად ცდილობთ წინ წაწევას და ამაში ხელს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შეგიშლით.

***თევზები*** — დღეს არჩევანის შესაძლებლობა გექნებათ, თუმცა ამის გაკეთება „ცუდსა“ და „უარესს“ შორის მოგიწევთ, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს განწყობის გაუარესების მიზეზი.


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# რა არის საჭირო სრული ბედნიერებისთვის?



ავსტრალიელმა ფსიქოლოგებმა მელბურნის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს სამი ძირითადი ელემენტი, რაც ადამიანს სრულ ბედნიერებას ანიჭებს. „ბედნიერების სამკუთხედს“ ქმნის საყვარელი პარტნიორის არსებობა, ფული 100 ათას დოლარამდე და სოციალური აქტივობა, რომელიც ცხოვრების მიზანს განსაზღვრავს. ისეთი „უმნიშვნელო რამ“, როგორიც მაგალითად, ზედმეტი წონაა, ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგების მიუხედავად, ბედნიერებას ხელს არ უშლის. სწავლულები ყველა ექიმს ურჩევენ, უფრო მეტად იზრუნონ პაციენტის ბედნიერებაზე მთლიანობაში, ვიდრე მხოლოდ მის სისხლში ქოლესტერინის დონესა და მაღალ წნევაზე. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა: ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა (გარდა მძიმე სენისა), არ შედის „ბედნიერების სამკუთხედში“.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 7 | 6 | 1 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 9 | 5 | 8 | 4 | 2 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 7 | 1 | 2 | 9 | 3 | 6 | 5 | 8 | 4 |
| 5 | 6 | 4 | 2 | 8 | 1 | 7 | 3 | 9 |
| 8 | 3 | 9 | 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 2 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 6 | 2 | 8 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 5 | 9 | 4 | 6 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 9 | 6 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 1 | 7 | 6 | 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 3 | 2 | 8 | 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 9 | 1 | 7 | 2 | 5 | 8 | 4 | 3 | 6 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 7 | 3 | 2 | 8 | 9 |
| 2 | 4 | 3 | 9 | 6 | 5 | 7 | 1 | 8 |
| 8 | 9 | 1 | 7 | 3 | 4 | 6 | 5 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 2 | 1 | 9 | 4 | 3 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 4 | 5 | 9 | 1 | 3 | 7 | 2 |
| 2 | 5 | 3 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 8 | 6 | 5 |
| 9 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 |
| 3 | 6 | 7 | 4 | 8 | 9 | 5 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 1 | 4 | 6 | 5 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 1 | 6 | 8 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 8 | 3 | 7 | 5 | 1 | 4 | 9 | 2 | 6 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 7 | 9 | 6 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 6 | 2 | 1 | 5 | 3 | 8 | 9 | 7 |
| 7 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 6 | 3 | 5 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 1 | 8 | 3 | 4 | 7 | 2 | 5 | 6 | 9 |
| 5 | 7 | 4 | 9 | 6 | 1 | 3 | 8 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 1 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 1 | 3 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 7 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 7 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5 | 1 | 8 | 7 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 3 | 9 | 8 | 5 |
| 6 | 4 | 8 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 2 | 7 | 6 | 3 |
| 9 | 1 | 4 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 3 | 9 | 1 | 5 | 4 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 1 | 4 | 8 | 9 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 4 | 5 |
| 1 | 6 | 7 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 | 9 | 7 |
| 5 | 9 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 4 | 8 | 1 | 5 | 7 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 3 | 2 | 5 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 6 | 2 | 4 | 8 | 1 | 5 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 1 | 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 9 | 6 | 3 | 2 | 7 | 4 | 5 | 1 | 8 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 6 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 |
| 1 | 5 | 8 | 9 | 6 | 2 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 7 | 3 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 3 | 9 | 6 | 4 | 5 | 7 | 1 | 8 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. სოდომი; 2. ობელისკი; 3. ორიგამი; 4. ბრონტე; 5. რახტი; 6. ნუნუა; 7. ფეტიში; 8. სარსუელა; 9. რივალდო; 10. ახუნდი; 11. „კოროლა“; 12. დეტექტივი; 13. ისარა; 14. ალიბი; 15. გაროტე; 16. მიკადო; 17. ობი; 18. ონისე; 19. უსამი; 20. კრივი; 21. სი; 22. ალმასი; 23. კობე; 24. აქილია; 25. პიცა; 26. კოლაუ; 27. მუსტანგი; 28. სტელა; 29. დიეზი; 30. ასთაკვი; 31. არს; 32. რიო; 33. ლეონი; 34. ნოსტე; 35. ლეთე; 36. ატროპატენა; 37. ნიასა; 38. ლეია; 39. აული; 40. ამალა; 41. საჩმო; 42. ვიენტიანი; 43. ლავა; 44. ნარცისი; 45. სენსეი; 46. ანაგა; 47. გლინკა; 48. გეგი; 49. ამერიკა; 50. ჩერჩილი; 51. სირტაკი; 52. სტარი; 53. ანდანტე; 54. იენა; 55. მითი; 56. გიდი; 57. მტრედიო; 58. მიაუ; 59. ადა; 60. უპე; 61. ჩოჩორი; 62. ინცესტი; 63. ლი; 64. სმოგი; 65. მარგო; 66. კიი; 67. ნიდაო; 68. სკეტჩი; 69. გი; 70. ნასა; 71. რაჭა; 72. გალათეა; 73. ბოი; 74. იეთიმ; 75. ერი; 76. ყადი; 77. თემურ; 78. აინი; 79. ერატო; 80. აბაი; 81. ლა; 82. კაი; 83. ლევ; 84. „გზა“; 85. „მალიბუ“; 86. კუ; 87. ეშვი.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).








